ეროვნული

№ 208
ხუთშაბათი, 17 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877–1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 208
ხუთშაბათი, 17 ნოემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 6.
პირველი აბონიმენტი.
ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, 1905 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:
დარბეულ და დაწიოკებულ ქართველთა და გურულთა სასარგებლოდ
მეზობლები
სცენები გურულების ცხოვრებიდან 4 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ი. [illegible], ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, კ. ჯაყელი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი დაკლებულია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
შემდეგი წარმოდგენა—ვასო აბაშიძის ბენეფისია.
მზადდება წარმოსადგენად: „ახალი ძალა“, „ქოხში“, „ხალხი“, „სულით ობოლნი“.
რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის სახაზინო თეატრი
ორშაბათს, 1905 წ. 21 ნოემბერს
ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ,
დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება
I
სევილიელი დალაქი
ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: [illegible], ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, აგესი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.
ოპერის ლოტბარი იქმნება ნ. გ. ქართველიშვილი.
II
საკონცერტო განყოფილება
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, ბ-ნნი: კოლოტოვი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.
ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე“-ს რედაქციაში და ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
პარასკევს, 18 ნოემბერს, 1905 წ. მეოთხედ წარმოდგენილი იქმნება
ზაზა
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ლეონკავალლოსი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნიკიტინსკაია მიშეცკაია, ზასნოვსკაია, კარპოვისა, ბ-ნნი კარელინი კოლოტოვი სოკოლსკი ტომაშევიჩი ჩისტიაკოვი ვოლსკი, დემიანენკო შეინე.
ბალეტის გამგე ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კაპელმეისტერი დ. პ. შტეინბერგი
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ანონსი: შაბათს, 19 ნოემბერს, წარმოდგენილი იქმნება სპექტაკლი „გალა“ „ჩერევიჩკი მუს.“ ჩაიკოვსკისა კვირას 20 ნოემბერს წარმოდგენილი იქმნება „ნერონი“ მუს. რუბინშტეინისა. მზადდება წარმოსადგენად ფიგაროს ქორწინება მუს. მოცარტისა.

ვეტცელის თეატრი.
პარასკევს, 18 ნოემბერს
დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ
სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენილ იქმნება
პარიზის ღარიბ-ღატაკნი
პიესა 5 მოქმედებად, დენერისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, საყვარელიძე, დავიდოვი, ჩერქეზიშვილი და ფეიქაროვი; ბ-ნნი: ბაღაშვილი, მატარაძე, სალაყაია, ჯიბლაძე, მჭედლიშვილი, გელიკურაშვილი, ხუბაშვილი.
დასაწყისი საღამოს რვა საათზე.
მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე კავსაძის ხორო.
ბილეთების ფასი 2 მ. 20 კ.-დან 50 კაპ.-მდე.
გამგენი: ნინო კვინიხიძე და მიხეილ ანანიაშვილი.

რკინის გზის გამგეობა
იწვევს მსურველთ 16000 ფუთი ხის ნახშირის ჩასაბარებლად. ფასები უნდა განაცხადონ დაბეჭდილ კონვერტებში ზედ-წარწერით: „въ Совѣтъ Управленія Зак. ж. дорогъ заявленіе цѣнъ на уголь деревянный“ 12 საათისათვის 22 ნოემბერს.
ნახშირი უნდა ჩაჰბარდეს ტომრებით, რომლებიც უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს 4 თვის შემდეგ ჩაბარებისა.
დაწვრილებითი ტეხნიკური პირობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, რკინის გზის გამგეობაში მატერიალურ განყოფილებაში დილის 9-დან 3 საათამდე, ელისაბედის ქუჩაზედ საკუთარი სახლი.
(3—)2.

ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში სწავლა შეწყვეტილია 1906 წლის იანვრის შვიდამდე.
(3—3).

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ჟორდანიოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ჟ. ფ. ჩიძოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, [illegible] და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. აშოტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბძილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს ვადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნი-ს და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ცძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

მოხელე და მოქალაქე

—

თანამედროვე საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას ახასიათებს, სხვათა შორის, შრომის საზოგადოებრივი განაწილება და მცხოვრებთა სხვადასხვა საპროფესიო ჯგუფებად დაყოფა. თითოეული ჯგუფი შრომის თანაბარ პირობებში იმყოფება, მის წევრებს, ვითარცა ერთის ეკონომიურ წრის კაცებს, თავიანთი საერთო საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აქვთ და ამიტომ ეს ერთგვარობა საჭიროებათა ხდება საფუძვლად მათის ერთად შეკავშირებისა და შეერთებულის ძალ-ღონით თავიანთ ინტერესების დასაცავად საკუთარ ორგანიზაციის შექმნისა. საპროფესიო, ხელობის ფარგლით შემოსაზღვრული, საზოგადოებრივი ჯგუფი უფრო პატარა ცნებაა, ვიდრე კლასი, რომელიც თავის წრეში მრავალ პროფესიის წარმომადგენელთ შეიცავს.

სანამ სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილება მოქალაქეებს არა სცნობს და მხოლოდ მონურ ქვეშევრდომელობის პრინციპზეა დამყარებული, ლეგალურად დაარსება მებრძოლ ორგანიზაციებისა და მათ შორის საპროფესიო კავშირებისაც შეუძლებელია, ვინაიდან პოლიციური რეჟიმი სდევნის ყოველგვარ მოქმედებას, რომელსაც საერთო ჯგუფებრივი ინტერესები აქვს მიზნად და იმ „მზრუნველობით“ არ კმაყოფილდება, რომელსაც უწევს ყოველ ხელობისა თუ კლასის წარმომადგენელთ თვითმპყრობელი მთავრობა. ამგვარ კავშირების ლეგალურად წარმოდგომა და არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სახელმწიფოში ძველი პოლიციური ოპეკა ისპობა და მის ნაცვლად თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოთა მსგავსი პოლიტიკური წყობილება მყარდება,—წყობილება, რომელიც აღიარებს მოქალაქეთა უფლებას და საზოგადოების თავისუფალ განვითარებას..

17 ოქტომბერს რუსეთშიაც ჩამოანგრია თვითმპყრობელობის კედელი რევოლუციამ და ამცნო წინანდელ მონათა სახელმწიფოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შეკრებისა და შეკავშირების თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა.

თითქოს მანიფესტის შემდეგ ყოველ ექვს გარეშე, რომ ყოველ ხელობა-პროფესიის წარმომადგენელთ აქვთ უფლება კავშირი შეადგინონ და თავიანთი საერთო ინტერესები შეერთებულის ძალ-ღონით დაიცვან და ცხოვრებაში გაატარონ. მაგრამ ვიტტეს სამინისტრომ მალე აუწყა ქვეყანას, რომ ასეთი თავისუფლება ყველა ხელობის კაცთათვის არ არსებობს, და თუ მთავრობა იძულებული გახდა რევოლუციისთვის დაეთმო და შეკავშირების თავისუფლება მოქალაქეებისთვის გამოეცხადებინა, იგივე მთავრობა დღესაც არ სცნობს მოქალაქეებად სახელმწიფოს მოხელეებს და სასტიკად უკრძალავს კავშირებისა და საზოგადოდ ორგანიზაციის შედგენას.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა განიზრახეს თავიანთ საპროფესიო კავშირის შედგენა და ამისთვის სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კრება მოიწვიეს მოსკოვში. შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ მაშინვე ძველებურად ცირკულიარით აცნობა ყველა მოხელეებს, რომ სახელმწიფოს სამსახურში მყოფთ კავშირის შედგენის უფლება არა აქვთო და ვინც მაინც ჩაეწერება კავშირში წევრად, სამსახურიდან დათხოვნილ იქმნებაო. თუმცა მანიფესტმა შეკავშირების უფლება გამოაცხადა მთელის საზოგადოებისთვის (населеніе), მაგრამ ვიტტეს სამინისტრო, როგორც ეტყობა, საზოგადოების ნაწილად არა სთვლის მოხელეებს და მათ უსპობს იმ ელემენტარულ უფლებას, რომელიც დღეს აქვს ყოველ მოქალაქეს.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა, რასაკვირველია, არ იწამეს დურნოვოს განმარტება, რომ ისინი საზოგადოების ნაწილს არ შეადგენენ, მოქალაქეებად ჩასათვლელნი არ არიან, დელეგატები მაინც გაგზავნეს და კრება მოახდინეს. ვიტტეს სამინისტრო არ შედრკა და რეპრესია არ დაახანა: ყველა დელეგატები, რომელნიც კრებას დაესწრნენ, სამსახურიდან დაითხოვეს.

ასეთ ძალ-მომრეობას ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა შესაფერი პასუხი გასცეს: მოითხოვეს დათხოვნილების ისევ სამსახურში მიღება და როცა ვიტტემ ეს არ შეიწყნარა, საყოველთაო გაფიცვა მოახდინეს. მთელს რუსეთში აღარც ფოსტა მოქმედობს და აღარც ტელეგრაფი. აღარავინ იცის, რა ხდება სხვადასხვა ადგილებში, რადგან არც ბარათები იგზავნება, არც გაზეთები და არც დეპეშები. მოხელეთა გაფიცვამ მთელს სახელმწიფოში მოსპო აზრისა და ცნობების გაცვლა-გაზიარების საშუალება. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა დიდი ძალაა შეერთებული სოლიდარული მოქმედება.

რას იზამს მთავრობა? ცხადია, იგი ვერ გასწევს გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მაგიერობას და იძულებული იქნება დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება, თუ თვითონ მოხელეებმა ერთმანეთს არ უღალატეს და ციხე შიგნიდან არ გასტეხეს. მაგრამ უთანხმოებით გამოწვეული გატეხა გაფიცვისა და გამარჯვება მთავრობისა იქნება იმის მაჩვენებელი, რომ მოხელეები ჯერ კიდევ არ ამაღლებულან მოქალაქეობამდის და მათთვის ჯერ კიდევ ნაადრევია მოქალაქობრივი უფლებაც.

უფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება!

პარტიული ეთიკა

—

სტატიაში „პირდაპირობა და ორპირობა“ („მოგზაური“ № 40) ჩემს წინააღმდეგ მიმართული საბრალმდებლო ოქმი ასე იწყება: „ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი თავის თავს პროლეტარიატის მომხრეს უწოდებს, მას ვითომც მარქსის და ენგელსის მოძღვრებაც სწამს, და იმავე დროს კი გაზ. „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი და სულის ჩამბერავი შეიქნა“.

მაქვს პატივი განვაცხადო, რომ საზღვარ-გარედ ყოფნის დროს, ჩემდა სანანურად, გაზ. «ივერია» არ მომდიოდა. სამშობლოში დაბრუნებისას, გაზეთში თანამშრომლობა ვიკისრე, რადგან ვიცნობდი მის ახლანდელ რედაქტორის და ზოგიერთ უმთავრეს თანამშრომლების მიმართულებას („ივერიის“ გარეშე).

თავის-თავად ცხადია, რომ მე არ შემიძლიან თავს ვიდო პასუხის-მგებლობა ყველა იმ წერილებისათვის, რაც კი ამ გაზეთში დაბეჭდილა ადამის დროიდან.

ბ-ნ მახარაძეს მოეხსენება, როდის დავბრუნდი მე სამშობლოში და როდის დავიწყე ამ გაზეთში თანამშრომლობა. ბ-ნ მახარაძეს ისიც მოეხსენება, რომ, თუმცა მუდმივად აქ ვთანამშრომლობ, მაგრამ გაზეთის რედაქციაში მაინც არავითარ მონაწილეობას მე არ ვღებულობ. მაშასადამე, არც შემიძლიან პასუხისმგებლობა ვიკისრო იმ წერილებისა, რომლებიც ჩემგან არ არის ხელმოწერილი.

ბ-ნ მახარაძეს სახეზე განცვიფრება აღბეჭდება, იგი მზად არის მეფისტოფელიურად გადიხარხაროს. მაშ განვუმარტავ: არამც თუ ერთ თანამშრომელს არ შეიძლება მთელი გაზეთის პასუხისმგებლობა დავაკისროთ, ძალიან ხშირად შეუძლებელია თვითონ რედაქციას ვაკისრებინოთ ყველა იმ წერილების პასუხისმგებლობა, რაც კი იმის გაზეთში იბეჭდება ხოლმე. ასეთია ლიტერატურული ეთიკა, რომელიც აზრთა განვითარებამ შეიმუშავა. აქ გაზ. „მოგზაურის“ რედაქტორი სიტყვას მაწყვეტინებს: „ბურჟუაზიულ ორგანოს ეთიკა ყოველივე გარყვნილებას შეიცავს!“ მაშ მაგალითს მოგახსენებთ სოციალ-დემოკრატიულ პრესსის პრაქტიკიდან.

ბელგიაში არსებობს სამაგალითო ორგანიზაციის მქონე სოციალ-დემოკრატიული პარტია (ბელგიის მუშათა პარტია). მისი პარტიული ორგანოა გაზ. „ლე პიოლი“. ამ გაზეთის პირველ სვეტზევე ჩვენ ვკითხულობთ: „რედაქცია ამით აცხადებს, რომ იგი პასუხისმგებელია მარტო იმ წერილებისთვის, რომელიც იბეჭდება ხელ-მოუწერლად, განსაკუთრებულ შრიფტით (იტალიკურად), დანარჩენ წერილებისთვის პასუხისმგებელნი არიან ის ავტორები, რომელნიც ხელს აწერენ“.

ბ-ნი მახარაძე განრისხებულია, რომ მე „თანამშრომელი შევიქმენი „ივერიისა“, „იმ „ივერიის“, რომელიც ვიწრო ნაციონალიზმის გზას ადგას, რომელიც ქართველ ბურჟუაზიას და ქართველ მემამულეებს ესარჩლება, რომელიც, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიასთან ერთად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც თხოულობს. რა არის ეს? როგორ თავსდება ერთად „ივერია“, თუნდაც „განახლებული“, და სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება? როგორ მოხდა, რომ იმ ორგანოში, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგია სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებისა, რომელიც **ლანძღვა-გინებით იხსენიებს სოციალ-დემოკრატიას**, თავშესაფარი იპოვა ისეთმა პირმა, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიის წევრად თვლის?“

ეს ოქმი, ყველა ზემოხსენებულ განმარტებათა შემდეგ, სრულებითაც აღარ არის ჩემთვის საშიში. მაგრამ ამ ოქმის თუნდ ერთი პუნქტიც, ჩემ-მიერ ხაზგასმული, რომ მართალი იყოს, ჩემს თავს არასოდეს არ მივცემდი ნებას, ასეთ გაზეთში მეთანამშრომლნა. მაინც განვიხილოთ ოქმის პუნქტები ობიექტიურად.

„პროკურორი“ აცხადებს, რომ გაზ. „ივერია“ ვიწრო ნაციონალიზმის გზას ადგას, რომ იგი ბურჟუაზიას და მემამულეებს ესარჩლება. დასამტკიცებლად ამისა არავითარი ფაქტი მას არ მოჰყავს, თუ ასეთ ფაქტად არ ჩავთვლით იმის კრიტიკას ჩემ ერთ ფელეტონის შესახებ, რაზედაც ლაპარაკი შემდეგ გვექნება.

რაც შეეხება ეროვნულ-ტერიტორიალურ *) ავტონომიას, მართალია, „ივერია“ იცავს საქართველოს ავტონომიას, მაგრამ ისიც სწორია, პრინციპიალურად იცავს აგრეთვე კავკასიის ავტონომიასაც.

ბ-ნ მახარაძეს უნდა განვუმარტოთ, რომ სოციალ-პოლიტიკურ სფეროში მრავალია ისეთი საკითხები, რომელზედაც მათემატიკურ პასუხის გაცემა (როგორც 2×2—4) ყოვლად შეუძლებელია. ასეთ საკითხებს ეკუთვნის ეროვნული საკითხი. აი, ამიტომ „ივერია“, როგორც თავისუფალი ორგანო, ადგილს აძლევს ორივე შეხედულებას („პრო“ და „კონტრა“).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ უნდა განვაცხადო, რომ „ივერია“ ამის მოციქულად არ გამოსულა. და რომ გამოსულიყო კიდეც, ამაში ძალიან დიდი დანაშაული არ იქნებოდა. პირადად მე მომხრე ვარ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა იმდენად, რამდენადაც ეს ხელს უწყობს ეკლესიის სახელმწიფოსა განგან შორებას. ჩემი მხურვალე მისწრაფებაა, რაც შეიძლება, მალე მოხდეს ეს განცალკევება, რაც შეიძლება, მალე განთავისუფლდეს სკოლები სამღვდელოების გავლენისაგან. მაგრამ ასეთივე მისწრაფება აქვს ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს ყველა იმ ქვეყნებში, სადაც ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

ბ-ნი მახარაძე ბრძანებს, რომ „ივერია“ „**პირდაპირ წინააღმდეგია** სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებისა“.—პირდაპირ წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, მაშინ გაზეთი თავის ფურცლებზე ადგილს აღარ მისცემდა ისეთ წერილებს, რომელნიც პირდაპირ გამომხატველნი არიან სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებისა.

მაგრამ ისიც მართალია, რომ „ივერია“ ადგილს უთმობს ამ მოძღვრების კრიტიკასაც. და მერე, განა, ეს საბუთია, რომ გაზეთი ბურჟუაზიულ ორგანოდ გამოვაცხადოთ? აგრე რომ იყოს, მაშინ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა განდევნოს ყოველივე კრიტიკა, აზრის ყოველივე თავისუფლება. ეს კი ამ პარტიის სიკვდილი იქნებოდა, რადგან იგი დამყარებულია მეცნიერულ ნიადაგზე. მეცნიერება იმით განსხვავდება სარწმუნოებისაგან, რომ მისი საარსებო პირობაა აზრის თავისუფლება; აზრის თავისუფლება ზრდის, ანვითარებს, აძლიერებს მეცნიერებას, ხოლო იგივე თავისუფლება ასუსტებს და, ადრე თუ გვიან, მიუცილებლად ჰკლავს სარწმუნოებას. აზრის თავისუფლება, კრიტიკა ჭეშმარიტებას აცლის ყოველსავე ხინჯს (ორპირობას, ბურუსს), ასპეტაკებს, ნათელ ჰყოფს და მით გზას უკაფავს ხალხის ცნობიერებისაკენ.

აი, ამიტომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ეშინიან კრიტიკისა და აზრის თავისუფლებისა. ერთიცა და მეორეც მას მიუცილებლად ზრდის, ანვითარებს, აღონიერებს. საკითხის ყოველივე ახალი განმარტება, ახალი საბუთების შემოტანა, ახალ ფაქტების შეგროვება და მათი გაშუქება, ერთის სიტყვით, მეცნიერული ყოველივე ახალი გამოკვლევა, საქმის ყოველ-მხრივი განხილვა—მხოლოდ აალმასებს სოციალ-დემოკრატიის თეორიულ იარაღს და პარტია უფრო მედგრად მიექანება წინ.

კრიტიკისა და აზრის თავისუფლების მოსპობა სხვა მხრივაც იქნებოდა პარტიისათვის საშიში. თანამედროვე კაცობრიობამ უკვე მიაღწია განვითარების იმ საფეხურამდე, როცა ადამიანისათვის თავისუფლება ისე ჰაერია, ურომლისოდაც მას არ შეუძლიან არსებობა. კერძოდ, აზრის თავისუფლება განუსაზღვრელია; ვერც ცენზურა, ვერც საპყრობილე და ვერც ხიშტები მას ვერ დაამტვრევს ძლევა-მოსილ ფრთებს. ადრე თუ გვიან, ის ანგრევს ყოველგვარ ზღუდეებს და მიილტვის, მიფრინავს შორს, შორს უფართოვეს და უმაღლესს ჰორიზონტებისაკენ. ადამიანის აზრი—ეს თვითონ თავისუფლებაა.

ამიტომ, როდესაც პარტია თავის წევრებს უსპობს თავისუფლებას, ისინი აუცილებლად წუხდებიან და გასაველელ კარებს ეძებენ, იქსაქსებიან; ჩნდება დანაწილება, ფრაქციები, პარტიის ორგანიზაცია ირღვევა, პარტია უძლურდება.

მაგრამ თავისუფლებაც არის და თავისუფლებაც, კრიტიკაცა და კრიტიკაც. როგორც საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ჯერ არ იცის განუსაზღვრელი მოქალაქობრივი თავისუფლება, ვინაიდან ცხოვრება ნიშნავს ადამიანების ერთად მოქმედებას, მაშასადამე, მოქმედების შეფარდება-შეთანხმებას (განსაზღვრას), სწორედ ასევე არც პოლიტიკურ პარტიამ იცის წევრთა განუსაზღვრელი თავისუფლება, ვინაიდან პარტია ნიშნავს მოქმედების ორგანიზაციას „პარ ექსელანს!“ (უაღრესად). როცა ვამბობთ—„პარტიაო“, ამით უკვე ვამბობთ „თავისუფლების განსაზღვრას“, „მიმართულებას“, „წეს რიგს“, „დისციპლინას“; ყველა ამ პირობებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თითოეული წევრი იღებს ნება-ყოფლობით, სრულიად თავისუფლად და, მაშასადამე, არც არის იგი დასახელებულ პირობებით შევი-

---

*) ეს ტერმინი უხერხულად მიმაჩნია. ამ ტყუპი ტერმინის ნაცვლად რომ ვიხმარებდეთ—ეროვნული ავტონომია, ტერიტორიალური ავტონომია, აზრი გაცილებით უფრო ნათელი იქნება.
ვლ. დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებული. პირიქით პარტია ემსახურება თითოეულ წევრს, თითოეული წევრი ემსახურება მთელ პარტიას. პარტიის საშუალებით წევრი პირდაპირ მიდის თავის საკუთარ მიზნისაკენ; იგი უზრუნველ-ყოფილია მოულოდნელ შემთხვევებისაგან: შეგნებული, კოლლექტიური ძალა,—რომლის ორგანიული ნაწილია თვითოეული წევრი,—ემსახურება მას. აი, ამიტომ პარტიულ ორგანიზაციაში წევრისათვის განხორციელებულია ცხოვრებაში შესაძლებელი თავისუფლების მაქსიმუმი.

სოციალ-დემოკრატიული პარტია—მებრძოლი პარტიაა. მის პარტიულ ორგანოში შეუძლებელია ორი სხვადასხვა აზრი ერთსა და იმავე საკითხზე. ეს (ორ-აზროვნობა) იქნებოდა მოქმედების პარალიზაცია (შეჩერება), ანუ ძალთა დაქსაქსვა. იდეალური პარტიული ორგანო არის ის, სადაც ყველა თანამშრომლები ისე სწერენ, როგორც ერთი კაცი. პარტიული ორგანო უნდა იყოს ერთხმოვანი. იგი (ორგანო)—განსაკუთრებით რევოლუციონურ დროს—უნდა იყოს ბრძოლის საყვირი; იგი უნდა იყოს დიდი ზარი, რომელიც „ნაბატს" სცემს და მებრძოლ რაზმებს იწვევს მტერზე იერიშის მისატანად.

მაგრამ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია დამყარებულია მეცნიერულ ნიადაგზე. პარტია ძლიერია პრაქტიკულად იმიტომ, რომ იგი ძლიერია თეორიულად. თეორია კი ძლიერია მაშინ, როცა მას გარს არტყია მხრუნველი კრიტიკა,—მაშასადამე, აზრის თავისუფლება. კრიტიკა კი შეუძლებელია პარტიულ ორგანოში. აი, ამიტომ ყოველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, როცა კი ის საკმაოდ წელში გაიმართება, პარტიულ ორგანოსთან ერთად აუცილებლად მოეპოვება თავისუფალი ორგანოები, სადაც პარტიის წევრები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ პარტიის როგორც თეორიას, ისე პრაქტიკას.

პარტიული ორგანო არის ლამპარი, რომელიც გზას უნათებს მებრძოლ რაზმებს, მიმართულებას აძლევს, ასწავლის, თუ სად, როდის და როგორ უნდა ასწიონ ლახვარი, რომ მტერთა გული მარჯვედ იქმნას განგმირული. თავისუფალი ორგანოები ამ ლამპარისათვის ამზადებენ თეორიულ ელემენტებს.

ბ-ნი მახარაძე,—ამ ლაპარაკში—ჩაყუჩდა, გარინდდა, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერად, მე ვხედავ, იგი მოღრუბლულია, онъ думаетъ думу крѣпкую,—ვნახოთ რას გამოაფრენს. მაგრამ განვაგრძოთ.

გაზ. ,,ივერია'' არ არის სოციალ-დემოკრატიის ორგანო, არ არის პარტიული ორგანო, და, ცხადია, ვერ მოვთხოვთ იმას, რაც მოეთხოვება პარტიულ ორგანოს.

ლეგალური პარტიული ორგანო კავკასიის სოციალ-დემოკრატიას ჯერ კიდევ არ მოეპოვება. შეიძლება, ბ-ი მახარაძე იმიტომ ამიჯანყდა, რომ ლეგალურ გაზეთში დავიწყე წერა. ეს ბრალდება საპასუხოდაც არა ღირს. ყოველ შეგნებულ სოციალ-დემოკრატმა დიდი ხნიდანვე იცის, რომ ლეგალურ ორგანოებში წერა ჩვენი პარტიისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს. თვითონ რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის ცნობილი თეორეტიკოსი, პლეხანოვი, მიუხედავად ცენზურის სასტიკ ბრჭყალებისა, როცა კი მოსახერხებელი იყო, ყოველთვის სიამოვნებით ჰბეჭდავდა თავის ნაწერებს ლეგალურ ჟურნალ-გაზეთებში, თუ ცალკე წიგნად.

ან, იქნება, ბ-ნი მახარაძე იმიტომ არის აბორგებული, რომ „მოგზაურში" არ დავიწყე თანამშრომლობა, იქნებ იმას თავის გაზეთი მიაჩნდეს სოციალ-დემოკრატიის პარტიულ ორგანოდ? ვაგლახ იმ პარტიას, რომლის ორგანო იქნებოდა ,,მოგზაური''! საბედნიეროდ, სოციალ-დემოკრატია თავისუფალია „მოგზაურიდან''. ყველას, ვინც კი იცნობს ამ პარტიის ცხოვრებას, კარგად ეცოდინება, რომ ,,მოგზაური'' არ არის სოციალ-დემოკრატიის პარტიული ორგანო; ეცოდინებათ ისიც, რომ თვითონ რედაქტორი ,,მოგზაურისა'', ბ-ნი მახარაძე, ვითარცა „ბოლშევიკი", კაი ხანია, განდევნილია კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან.

ვლ. დარჩიაშვილი.

ერთი ათასთაგანი

ყველას შეუძლიან ათას მაგალითის დასახელება იმის დასამტკიცებლად, რომ უმაღლესი მთავრობა და კავკასიის ადგილობრივი ადმინისტრაციაც ისეთ გზას ადგია, რომელსაც ძალიან ადვილად შეუძლიან მოქალაქობრივ ომის გამოწვევა. ნურას ვიტყვით შუა რუსეთისა და სხვა განაპირა ქვეყნებში მომხდარ ამბების შესახებ და მარტო ჩვენს შინაურ საქმეებს გადავავლოთ თვალი.

რამდენჯერმე გვითქვამს და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ქურდბაცაცებს და მაროდიორებს მფარველობს, მკვლელებსა და ავაზაკებს ხელს აფარებს და ისეთ კადნიერობამდისაც კი მიდის, რომ მკვლელობას ამართლებს, აქებს და აჯილდოებს კიდევაც. შორს წასვლა საჭირო არ არის. გაიხსენეთ თუნდ 29 აგვისტოს „ბრძოლის" მთავარ-სარდალი გენ. იაცკევიჩი, რომელმაც უფრო დიდი თანამდებობა მიიღო; გაიხსენეთ 22 ოქტომბრის ხოცვა-ჟლეტის ხელმძღვანელნი, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან მძარცველთ ისევ გაუწიონ ხელმძღვანელობა; გაიხსენეთ ბრძანება ნამესტნიკისა, რომელიც საქციელს უქებს და ქება-დიდებით იხსენიებს იმათ, ვინც 22 ოქტომბერს თავგასულ ბრბოს წინ მიუძღოდნენ; გადაათვალიერეთ უკანასკნელ დღეების ქრონიკა და იქიდან გაიგებთ, რომ თითქმის ყოველ დღე სალდათები მშვიდობიან ხალხს არბევენ, დუქნებსა და ვაგონებს ამტვრევენ, ხალხის სარჩო-საბადებელს იტაცებენ, მაგრამ სხვა დროისთვის მხნე და გამოცდილმა ადმინისტრაციამ დღემდის არც ერთი მაროდიორი არ დასაჯა. ტყუილი თავის მართლებაა, ვითომ ადმინისტრაციას არ შეეძლოს დამნაშავეთა მოძებნა: ქუთაისის რკინის გზაზე სალდათებმა ერთ საღამოს ასზე მეტი ვაგონი გასტეხეს იმ დროს, როცა იმ სადგურზე ჯარი არავის უშვებდა. გოლოვინის პროსპექტზე სალდათები რამდენიმე დღის განმავლობაში იკლებდნენ მანთაშოვის სახლსა და პირველ გიმნაზიას, მაგრამ ადმინისტრაციას ქურდებისა და ავაზაკთა აღმოსაჩენად თითიც არ გაუნძრევია. მთავრობის ამგვარი „მფარველობითი" სისტემა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ის სრულს თავისუფლებას აძლევს ხულიგნებს, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ცარცვა-გლეჯა ნებადართულია და ამიტომ აკლება და ძალმომრეობა შეიძლებაო.

სამხედრო ადმინისტრაციას არც სამოსწავლო ადმინისტრაცია ჩამორჩება.

მაისში სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა ნიკანდრმა კაზაკებს ქართველი სამღვდელოება გაალახვინა და ჯილდოდ ეპისკოპოსობა მიიღო. სემინარიის ახლანდელ რექტორს გრიგორს ნიკანდრის ბედი შეშურდა და ჯილდოს მისაღებად ამანაც ისეთივე ხერხი იხმარა, როგორიც ნიკანდრმა: ჩრდილოეთის ბუნაგიდან ჩვენს გასანათლებლად მოსულმა „მოძღვარმა" არც აცივა, არც აცხელა და საზოგადოებას სახედარი უწოდა. დღეს თუ ხვალ ამ „მოძღვარს" ერთგულ სამსახურისთვის, უეჭველია, ხარისხს მოუმატებენ და არქიელობას თუ არა, ეპისკოპოსობას მაინც მისცემენ. მეორემ—კაბაში გამოწყობილმა ბიუროკრატმა, ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლების უფროსმა ქ-ნმა ზამიატინამ ძალიან მოიწონა იუნკერთა და კადეტთა ვაჟკაცობა და მამულისადმი სიყვარული, რომელიც მათ 22 ოქტომბერს დაამტკიცეს, და მათ დასაჯილდოვებლად სასწავლებლის დარაჯებს ბრძანება მისცა: დღეის იქით იუნკრებისა და კადეტების გარდა სასწავლებელში არავინ შემოუშვათო, არც გიმნაზიელი, არც რეალისტი, არც სტუდენტი და არც სხვა ვინმეო. ზამიატინას ამით რასაკვირველია, მხოლოდ „გმირთა" დაჯილდოვება უნდოდა, მაგრამ ამ ბრძანებამ ისიც დაამტკიცა, რომ ჩვენს, ისედაც აწიოკებულ ქვეყანას ვოსტორგოვებისა და გოროდცოვების გარდა კამოსანი წურბელებიც ჰყოლია. ამ გაზაფხულს ამავე ზამიატინამ, რომელსაც პედაგოგიისა იმდენივე ესმის, რამდენიც ტრეპოვს ხალხისთვის თავისუფლების საჭიროებისა, პირდაპირ განაცხადა, რომ იმის აზრით წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ღარიბები და ქართველები არ უნდა მიიღონო. მერე რით დაუვარდება ზამიატინა ოდოევსა და ვოსტორგოვს? არაფრით. სამივემ რუსეთში ალბად საკმაოდ დაამტკიცეს თავიანთი „პატრიოტობა" და თავიანთ ნიჭის სანავარდო ასპარეზად ჩვენი ქვეყანა ამოირჩიეს. იმისთანა პედაგოგი, როგორიც ზამიატინა გახლავთ, ჩვენში მრავალზე უმრავლესი მოიპოვება. ისინი ისე უყურებენ ჩვენს შვილებსა და მოზარდ თაობას, როგორც გერებს, როგორც უცხოელებს და ამავე დროს მზად არიან ცინიკურ ორპირობით აღიარონ, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში განათლების შემოსატანად მოვიდნენ. ისინი ძალიან აფასებენ მხოლოდ თავიანთ შემოსავლიან ადგილს და ისე ელიან ოც რიცხვს, როგორც თვითმპყრობელობის აღდგენას; მათ მშვენიერად იციან, რომ ძველ რეჟიმის გაუქმებას უნდა მოჰყვეს მათი გაუქმებაც და ამიტომ ორივე ხელით ებღაუჯებიან იმ წარსულს, რომელიც უზრუნველჰყოფდა მათს მუქთა-მჭამლობას; ამ წარსულის დასაბრუნებლად ისინი იუნკრებსა და კადეტებსაც კი იშველიებენ, ხსნას მათში ეძებენ და ამისთანა ყაზარმულ ხერხით აპირობენ თავიანთ შემოსავლიან ადგილების შენარჩუნებას. პეტერბურგში ტრეპოვი გამანთავისუფლებელ მოძრაობისთვის პატრონებს არ იშურებდა, აქ კი ზამიატინები, გოროდცევები და ოდოევები ჩვენი და-ძმებისა და შვილების სულიერ დამახინჯებისთვის კადეტებსა და იუნკრებს იწვევენ დასახმარებლად. ზამიატინას საქციელი წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლებისთვის უკიდურესი შეურაცხყოფა და სილის გარტყმაა. ამისთანა სილები ჩვენ ერთხელ და ორჯელ არ გვინახავს, მაგრამ დროა გამოვაცხადოთ, რომ გვეყო ამდენი შეურაცხყოფა, ამდენი სირცხვილი, და აბუჩად აგდება. დროა შევიგნოთ, რომ ოდოევები და ზამიატინები ჩვენს მომავალ თაობას ასახიჩრებენ, ამახინჯებენ და ცივილიზაციას მხოლოდ მონებსა და ლაქიებს უმზადებენ. ისინი, რასაკვირველია, სავსებით ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ მახინჯ ახალ-გაზრდობის გასწორებაზე საზოგადოებას ტყუილ-უბრალოდ აუარებელი ენერგია და ძალა ეხარჯება. საკმარისი არ არის მარტო შერინკინისა და იაცკევიჩის დათხოვნა. საზოგადოება ცოტად თუ ბევრად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს თავისუფლად, როცა აქაურ ტრეპოვებს თან გააყოლებს მათგანვე თავმოყრილ ბრბოს და მომავალ თაობის აღზრდას თავისგანვე არჩეულ პედაგოგებს ჩააბარებს. ყოველი ჩვენგანი მოვალეა ბიუროკრატიის მიერ გათხრილი სოროები და მაღაროები სინათლით დაიაროს და სადაც კი მოსძებნის იმის მსახურს, გარედ გამოიყვანოს და საზოგადოებას წარუდგინოს. სანამ ეს სოროები სავსებით არ გაიწმინდება, მანამდის საზოგადოება არ შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ დღეს თუ ხვალ ბიუროკრატია მის სვე-ბედს რუსეთიდან გარდმოხვეწილ კაცი-ჭამია „პატრიოტებს'' ხელმეორედ არ ჩაუგდებს ხელში.

მ. ად—ლი.

მოსალოდნელია დამშვიდება?

საკმარისია ჩაუკვირდეს ადამიანი რუსეთის შინაურ ცხოვრებას ამ ერთი წლის განმავლობაში, რომ გაიგოს, თუ რამდენად უსაფუძვლოა იმათი იმედი, ვისაც განმათავისუფლებელი მოძრაობა უკვე დასრულებული ჰგონია. ამბობენ, ხალხმა ამ წელიწადში მოიპოვა ყველა ის უფლება, რომელიც შარშან საოცნებოდ მიაჩნდა, თვითმპყრობელობამ ხალხს „დაუთმო" და დაჰპირდა, რომ შემდეგში ხალხის წარმომადგენელთა ნებადაურთველად არც ერთი კანონი აღარ იქნება გამოცემული, „უბოძა" ხალხს სიტყვის, პრესსის და კრებების თავისუფლება, და რაღა მიზეზით უნდა იყოსო ხალხი დღესაც უკმაყოფილოდ... ამბობენ ამას და ვერ აჩნევენ, რომ უკმაყოფილება თანდათან მატულობს და ფეხს იკიდებს იმ წრეებშიაც, სადაც უწინ სრული შეუგნებლობა ან მორჩილება სუფევდა.

საქმის ასეთი მიმდინარეობა მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ხალხი და მთავრობა სხვადასხვა თვალით უყურებდნენ რუსეთის ახლანდელ მდგომარეობას და სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ ნაპირებზე გადასულ ცხოვრების ისევ კალაპოტში ჩაგდებას. ხალხი, რომელიც დიდის ხნის მონობით შეწუხებული იყო, მთავრობის თვითნებობისა და ძალმომრეობის მოსპობას ცდილობდა და საამისოდ ერთად-ერთ საშუალებად აღიარებდა თვითმპყრობელობის გაუქმებას და მის მაგიერად ხალხის გაბატონებას სახელმწიფოში. მთავრობა თავის მხრივ აპირობდა ხალხის შევიწროვებულ მდგომარეობის შემსუბუქებას, თანახმა იყო, რომ მოსპობილიყო ,,ჩინოვნიკების'' თვითნებობა, რომ ხალხს ,,ჩინოვნიკთა'' მოქმედების განხილვაში ცოტაოდენი თავისუფლება მინიჭებოდა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ თვითმპყრობელობა უწინდელივით შეუზღუდველი დარჩენილიყო რუსეთში და ხალხის სურვილი სავალდებულო არ ყოფილიყო ხელმწიფისათვის. ხალხს თავისი გაბატონება უნდოდა, მთავრობას—თავისი ბატონობის შერჩენა...

ცხადია, რომ ორივეს სურვილი ერთსა და იმავე დროს შესრულებული ვერ იქმნებოდა, რომ ხალხის გაბატონება ნიშნავს თვითმპყრობელობის მოსპობას და თვითმპყრობელობის შერჩენა კი ხალხის დამონების შერჩენას უდრის. ხალხი და თვითმპყრობელობა ერთმანეთს დაუპირდაპირდა და ბრძოლამ თანდათან უფრო გარკვეული სახე და მეტი ძლიერება მიიღო. ამ ბრძოლაში თვითმპყრობელობამ დიდი სისასტიკე და მოხერხებაც გამოიჩინა. ერთის მხრივ სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესები, სიკვდილით დასჯა, ქალაქ ადგილების ჯარებით ავსება, სოფლებში ეკზეკუციის ჩაყენება, ციხეების ხალხის საუკეთესო შვილთაგან ავსება... და მეორეს მხრივ კი ათასნაირ კომისიების შექმნა, რეფორმების დაპირება, რეფორმების შემოღება, პრესსის შედარებითი თავისუფლება, სიტყვისა და კრებების თავისუფლება... მორჩილება და თავისუფლება! აი, ის დევიზი, რომელიც მთავრობის მოქმედებას წინ მიუძღოდა. მაგრამ სწორედ ასეთსავე მორჩილებას მოითხოვდა თვითმპყრობელ მთავრობისაგან ხალხი და მის დასამორჩილებლად იბრძოდა. დამშვიდება, სიწყნარე ჩამოვარდება რუსეთში მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე თავის მოთხოვნილებაზე ხელს აიღებს, როდესაც გაბატონების სურვილზე უარს განაცხადებენ ან ხალხი, ან თვითმპყრობელობა...

ზოგიერთს ჰგონია, რომ ამ მხრივ თვითმპყრობელობამ თავისი ,,დათმობა'' 17 ოქტომბერს უკვე გამოაცხადა. მაგრამ მან ხალხი ვერ დააკმაყოფილა, რადგანაც ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ იგი უგულო, ძალაუნებური ,,დათმობა'' იყო, რადგანაც ხალხს არავითარი გარანტიები არ ჰქონდა, რომ მანიფესტში ბუნდოვად და გაურკვევლად გამოთქმული სურვილი მართლაც შესრულებული იქმნება, და მართლაც, შემდეგი დროის ამბებმა აშკარა გახადეს, რომ ამ გარანტიების უქონლობა მანიფესტის გამოუცხადებლობას უდრის... ძველი რეჟიმის მომხრეთა ქცევა ამ წლის განმავლობაში ხალხს ვერ ჩაუნერგავდა რწმენას, რომ მთავრობას მართლაც სურს დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება.

მართლაც, რა იყო ეს ნაირნაირი კომისიები და რეფორმების, თუ არა ხალხის დასაბრმავებელი ქრთამი? განა ქრთამად არ ეძლეოდა მუშებს შიდლოვსკის კომისიაში მონაწილეობა, განა ქრთამი არ იყო ის შეღავათი, რომელიც პოლონელებს მიანიჭეს, ის სარწმუნოებრივი „თავისუფლება", რომელსაც უნდა დაემშვიდებინა სარწმუნოების საქმეებზედ დევნილნი?.. ხალხიც სწორედ ამ თვალით უყურებდა ყველა ამ რეფორმას და ამიტომ ახალ უფლებების მიღებაზე მადლობას არავის არ ეუბნებოდა. მთავრობის მოქმედებას საზოგადო ხასიათად დაეტყო, რომ ახალი უფლებები ენიჭებოდა იმას, ვინც უფრო აშკარად და გაბედულად გამოდიოდა ბრძოლაში და ვისიც ძველი რეჟიმის წარმომადგენელთ უფრო ერიდებოდათ, რომ ხალხს ენიჭებოდა უფლებების მინიმუმი, თითქო მთავრობა ყოველ რეფორმის შემოღების დროს თავის თავს ეკითხებოდა,—ამ უფლებებს დასჯერდება ხალხი თუ არა, მეტს ხომ არ მოითხოვს ჩემგანო.

ვის არ ახსოვს, რა სიტყვებით ჰპირდებოდნენ მუშა-ხალხს ყოველ წყალობასა და მფარველობას, როგორ უნდოდათ 6 აგვისტოს კანონით ინტელიგენციისა და ერობათა წარმომადგენლების მომხრობა... რაკი ყველა ამ რეფორმას და დაპირებას საფუძვლად ედო თვითმპყრობელობის შერჩენა, ხალხის დამშვიდება შეუძლებელი შეიქმნა. მხოლოდ 17 ოქტომბერს, როდესაც საერთო გაფიცვის დროს ხალხის ყველა ნაწილმა საკვირველის ერთობით გამოუცხადა თავისი უკმაყოფილება თვითმპყრობელობას, უკანასკნელი იძულებული შეიქმნა ხალხისთვის დაეთმო და 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოეცა...

გაზეთებში გადმოცემული იყო იმის ამბავი, როგორ გამოიცა ეს მანიფესტი—იგი წინდაწინვე მოფიქრებული როდი ყოფილა, იგი დაიწერა და გამოცხადდა მოულოდნელად, ხალხის შიშით, როდესაც დღითი-დღეზე მოსალოდნელი იყო შეიარაღებული აჯანყება პეტერბურგსა და მოსკოვში... ამიტომ ხალხი ამ მანიფესტის შემდეგაც თვითმპყრობელობას სამუდამოდ გადამდგარად ვერ ჩასთვლიდა, ეს მანიფესტი მას ტაქტიკურ მიზნით ხალხის გასაჩერებლად გამოცემული ეგონა. და მართლაც, იმ საშინელმა სისხლის ღვრამ და რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ადმინისტრაციის წაქეზებით ან მფარველობით ხულიგანთაგან ხალხის დარბევამ და სამხედრო წესების შემოღებამ ნათლად დაუმტკიცა ხალხს, რომ „თვითმპყრობელობის რეჟიმი" ჯერ კიდევ ცოცხალი არის, თუმცა მანიფესტის ძალით იგი უნდა გაუქმებულიყო.

დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ მანიფესტის ძალით არც ერთი ახალი კანონი ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად არ უნდა გამოცემულიყო, ნამდვილად კი მას იქეთ მთავრობამ სამხედრო სამსახურის და გლეხთა მიწათმფლობელობის შესახებ, თავის ნებით, ხალხის დაუკითხავად, მნიშვნელოვანი კანონები გამოსცა, რომ ეს კანონები გლეხებისა და ჯარების გულის მოსაგებად იყო გამოცემული, რომ ამნაირად ცხადი იყო მთავრობის პოლიტიკა—ხალხის ამ ორ ნაწილის მომხრობა განმათავისუფლებელ მოძრაობის მოსასპობად. მთავრობისაგან საკუთარ მანიფესტის არაფრად ჩაგდება იმ ზომამდე მივიდა, რომ უკანასკნელ ოფიციალურ განცხადებებში მთავრობის წარმომადგენელნი თავსაც იქებდნენ იმით, რომ ხალხს ამ კანონებით ბევრი რომ შეღავათი მიანიჭეს. ამ შეღავათების წინააღმდეგ არაფერი ითქმის, მაგრამ მაინც ყველასათვის ცხადია, რომ ეს ახალი კანონები, 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთა ნებართვით უნდა შემოსულიყო, ისევე, როგორც პოლონეთში სამხედრო წესების შემოღება და იქ პიროვნების თავისუფლების მოსპობა.

ამ „უკანონო", 17 ოქტომბრის მანიფესტის დარღვევით, ხალხის ნებადაურთველად გამოცემულ კანონებით თვითმპყრობელობის მომხრეთ ვერც გლეხობის გული მიიგეს და ვერც ჯარებში დაამყარეს მორჩილება და ერთგულება. გლეხთა კავშირმა სწორედ ამ უკანასკნელ დროს ისეთი ზიზღი და წინააღმდეგობა გამოუცხადა თვითმპყრობელობას, რომ მთავრობამ კავშირის მეთაურები დააპატიმრა... ჯარებში კი უკმაყოფილებამ თანდათან თავი იჩინა და, უწინ თუ მხოლოდ აქა იქ, გემ „პოტემკინზე" და კრონშტადტში თუ ეტყობოდა მღელვარება ჯარის კაცებს, ახლა ვლადივოსტოკიდან დაწყებული სევასტოპოლამდის ჯარის კაცების უკმაყოფილობა უფრო შესამჩნევი ხდება. ჯარის-კაცთა გამოფხიზლება აშკარა შეიქმნა, როგორც პეტერბურგში, ისე სხვა ქალაქებშიაც, და ეჭვი არ უნდა იმას, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ ადმინისტრაციისა და ხულიგანების მიერ დაწყებულმა ხალხის დახოცვამ და აწიოკებამ, რომელშიაც ჯარებსაც მონაწილეობა მიიღებინეს, ამ მხრივ შესამჩნევად დააჩქარა ჯარებში ღელვების გამოწვევა. აკი ტფილისშიაც ჯარის კაცებიც უფროსებს მოთხოვნილებებს უდგენენ და თავის მოწინააღმდეგე აფიცრების ლანძღვა-გინებასაც აღარ ერიდებიან ამნაირად. მანიფესტის დარღვევით და ხალხის ახალ უფლებათა აბუჩად აგდებით, გლეხებისა და ჯარების გულის მოსაგებად გამოცემულმა კანონებმა თვითმპყრობელობის შერყეული ტახტი მაინც ვერ გაამაგრა. გლეხობა და ჯარის-კაცები პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე ახლად გამოდიან და განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ახალი ძალები, რომელნიც წინეთ ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას წინააღმდეგობას უწევდნენ.

დღეს კიდევ შინაურ ცხოვრების პოლიტიკური საკითხი ისევე არის დაყენებული, როგორც ამ ერთი წლის წინეთ ყოფილა: ხალხს უნდა გაბატონება, ხალხი მთავრობისაგან მორჩილებას მოითხოვს, მთავრობა კი ხალხს ჰპირდება წყალობას და ამავე დროს ცდილობს ხალხისავე დამორჩილებას. თვითმპყრობელობის პრინციპი ფაქტიურად შეუცვლელი რჩება, მთავრობა ხალხის წარმომადგენელთა აზრის გასაგებად თითსაც არ ანძრევს და მხოლოდ აჭიანურებს ამ წარმომადგენელთა მოწვევას. მთავრობა დღესაც არ აცხადებს, რა წესით ან რანაირად აპირობს იგი არჩევნების მოწყობას... მას ეშინიან ამ არჩევნებისა, რადგანაც იცის, რომ ის დღე, როდესაც ხალხის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, განკითხვის დღედ იქმნება ყველასათვის, ვინც დღეს კიდევ ხალხის უფლებებს არღვევს და მის დაუკითხავად სახელმწიფო საქმეებს განაგებს.

ამნაირ პირობებში დამშვიდება მოსალოდნელია? მოსაჩვენებელი, მხოლოდ ქაღალდზე ჩამოწერილი, ისიც კუდმოკვეცილი რეფორმები შეაჩერებენ განმათავისუფლებელ მოძრაობის მსვლელობას, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ მოძრაობაში თანდათან ახალი ელემენტები იღებენ მონაწილეობას და როდესაც თვითმპყრობელობის მომხრეებს ის ორი ბურჯი ეცლებათ, რომლის ერთგულებაზე ყოველთვის აგებული ყოფილა ხალხის მონობა, როდესაც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოდიან ჯარები და გლეხობაც? განა უმნიშვნელოდ ჩაივლის სევასტოპოლში ჯარების აჯანყება და გლეხთა კავშირის გაბედულება?.

ვარ. ფ—ი.

მიტინგი ზუგდიდში.

კვირას, 13 ნოემბერს, ქუთაისის სოციალისტ-რევოლუციონერთა კომიტეტის მიერ ზენდარში (ბოლდადის რაიონში) დანიშნულმა მიტინგმა [illegible] მოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„მთელის რუსეთის სოფლის და ქალაქის მუშა-ხალხის მედგარმა, ხანგრძლივმა ბრძოლამ და მათი სურვილების აღმასრულებელმა სოც.-რევოლუციონერების პარტიის მებრძოლ ორგანიზაციის გმირულმა მოქმედებამ სისხლის მსმელი თვითმპყრობელი მთავრობა 17 ოქტომბრის მანიფესტში ბოლოს აიძულა თვითონვე გამოეცხადებინა თავისივე გაკოტრება. თუმცა უკვე დაგმობილი მთავრობა ბნელი ძალების შემწეობით, რომლებმაც საკმარისად მთელ რუსეთის იმპერიაში აქა-იქ თავი იჩინეს, კიდევ სცდილობს ჩააქროს დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიუხედავად ამისა, მთელი მშრომელი ხალხი გაბედულად და უფრო მხნედ მიდის თავის ამორჩეულ სარევოლუციო გზით ნამდვილ თავისუფლების მოსაპოვებლად. მან მაღლა ასწია თავისი წითელი დროშა, რომელზედაც აწერია: პოლიტიკური და ქონებრივი თავისუფლება, რისი მოპოვებაც მას ღრმად სწამს მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებით. მთელ რუსეთის სოფლისა და და ქალაქის მშრომელ ხალხს სურს თვითმპყრობელ მთავრობის მოსპობასთან ერთად დაამარცხოს მშრომელ ხალხის სისხლის მწოველი მდიდრებიც და მათ ნანგრევებზე ააგოს ნამდვილი ხალხური მთავრობა და საფუძველი ჩაუდოს ქონებრივ სიღატაკისაგან განთავისუფლებას. ამისათვის ჩვენც მთელი გორას (ბოლდადის რაიონი) საზოგადოების გლეხობა ვუერთდებით მთელი რუსეთის მუშა-ხალხს და მასთან ერთად განვაგრძობთ ბრძოლას, მანამ არ მივაღწევთ:

1. დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, პირდაპირის, ფარულის და თანასწორის კენჭის ყრით და მასთან ერთად ყველა ერისათვის სრულ ავტონომიას.
2. ყველა (კერძო, სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო) მიწების გადაცემას მშრომელ ხალხისათვის საზოგადო კუთვნილებად.
3. უფასო, საყოველთაო სწავლას ორივე სქესისათვის და აგრეთვე შემოსავალზე გადასახადის დაწესებას.
4. დღესვე კი მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნან ყველანი, ვინც კი პოლიტიკურ ბრალდებისათვის არიან დაპატიმრებულნი, განურჩევლად ტერორისტობისა, და დაუყოვნებლივ ახსნილ იქმნას პოლონეთში და სხვა რუსეთის გუბერნიებში სამხედრო წესები.
5. დაუყოვნებლივ უნდა იქმნას განთავისუფლებული სათადარიგო ჯარის-კაცები.

მიტინგმა გურულებს მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა და დაადგინა, დაეხმარონ დაზარალებულთ.

მიტინგი ბაქოში

10 ნოემბერს ბაქოს ქართველ ინტელიგენციის პროგრესიულ ელემენტების ინიციატივით (როგორც იყო გამოცხადებული გაზეთში) გურიის შესახებ გაიმართა რკინის გზის დეპოს თეატრში მიტინგი.

მიტინგზედ ბლომად მოვიდა ხალხი: თეატრის დარბაზი სავსე იყო საზოგადოებით.

თავმჯდომარედ აირჩიეს ამხანაგი ხუნდაძე.

კრება დაიწყო საღამოს 7 საათზედ თავმჯდომარის სიტყვით.

ორატორმა თავდაპირველად აღნიშნა რეაქციის გაძლიერება. შემდეგ დაასურათა, თუ როგორ განვითარდა გურიის მოძრაობა, ვინ შეიტანა მასში სიცოცხლის ნაპერწკალი და რა როლს ასრულებდა პროლეტარიატი გურია-რუსეთის მოძრაობაში.

მთავრობის დამქაშებმა გურიის მოძრაობა საზოგადოებას დამახინჯებულად გააცნეს. იქ არავითარი სეპარატიული ამბავი არ მომხდარა, გურიის მოძრაობა რუსეთის დიდებული მოძრაობის ნაწილია და, თუ იგი პატარა გურიაში უფრო თავგანწირულად, გაბედულად და შეთანხმებულად გამოიხატა, ეს გურულების ჯეროვნად მომზადებას, მათ მოქალაქობრივ განვითარებას ამტკიცებსო.

დასასრულ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა გურიაში დახოცილ მებრძოლთ და „გაუმარჯოს გურიასო" დასძახა ერთხმად.

შემდეგ ილაპარაკა ქართულად გურიიდგან ამ დღეებში მოსულმა ბ-მა გელეიშვილმა. მისმა ნაამბობმა ბევრი სასიამოვნო და სამწუხარო ამბავი შეგვატყობინა.

„გურიაშიაო"—დაიწყო ბ-მა გელეიშვილმა: „კარგა ხანია, დაიბადა სოციალ-დემოკრატიული მიმართულება. მას განვითარებას ყოველ მხრივ ხელს უწყობდნენ „ჩვენი ბიჭები"—გურული მუშები, რომელნიც ბათუმის, ტფილისის და ბაქოს ქარხნებში მუშაობას შეწყვეტის დროს, უსაქმოდ რჩებოდნენ, შინ ბრუნდებოდნენ და თავისიანებში ავრცელებდნენ პროლეტარიატის მოთხოვნილებას, ეკონომიურ სწავლა-მოძღვრებას. არ გასულა დიდხანს, რომ დიდი და პატარა ძალზედ გაიტაცა ამ მოძღვრებამ.

ამნაირად გურიაში დღითი-დღე ვითარდებოდა, მოძრაობა რომელიც არაფრად ეპიტნავებოდა მთავრობას, და მან მოინდომა მისი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა. ამისათვის არა ერთი და ორი გურული გამოასახლეს თავის კუთხე-ქვეყანას და გაგზავნეს ცივ ქვეყნებისაკენ. მაგრამ გურულები სულით არ ეცემოდნენ და მედგრად განაგრძობდნენ თავის საქმეს.

მაშინ მთავრობამ ჯარი მოგვგზავნა, უნდოდა იმის შემწეობით ჩაექრო ჩვენში ყოველი კაცობრიული გრძნობა. ვინ მოსთვლის, რა შევიწროებას არ გვაყენებდნენ გამხეცებული პლასტუნები, მაგრამ ყოველისფერს ვითმენდით დიდებულ საქმისათვის და ვმუშაობდით, იარაღს ვიძენდით.

პლასტუნებში მათი უფროსები ათასნაირ სისაძაგლეს ავრცელებდნენ გურულების შესახებ. როდესაც ამასწინედ შეტაკება მოგვივიდა პლასტუნებთან, 60 მდე პლასტუნი მოკვდა, ზოგი კი ტყვედ ჩაგვივარდა ხელში. ტყვეებს ზრდილობიანად ვეპყრობოდით და, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა გვქონდა, პატივსა ვცემდით. ტყვეობაში კაზაკებმა გვითხრეს: „ჩვენ სულ სხვა რასმე გვეუბნებოდნენ თქვენ შესახებ, თქვენ კი სულ სხვები ყოფილხართო, ჩვენი უფროსების სიტყვით თქვენ არც ეკლესია გქონდათ, არც წირვა-ლოცვა, მხეცები იყავით და, თუ ვინმე ჩვენგანი ჩაგივარდებოდათ ხელში ცეცხლზედ შეწვავდითო“...

ამნაირად გურიიდგან მოსულმა ორატორმა თანდათან დაწვრილებით გაგვაცნო გურია 14 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე. ამ დროს მან გადმოგვცა, სხვათა შორის, ისიც, თუ რა შეუთვალეს გურულებმა აჭარლებს და უკანასკნელებმა როგორ მოაშველეს მათ 200 თავიდამ-ფეხებამდე შეიარაღებული კაცი.

გურულის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა 16 კაცმა: ერთმა ქართულად, ერთმა სომხურად და დანარჩენებმა რუსულად.

ბევრი მათგანი გურიის ამბების გარდა შეეხო დღევანდელ მომენტის საზოგადო მნიშვნელობას, ნაციონალურ ავტონომიას, ფედერაციას და სხ.

ერთმა ს.-დემოკრატმა კრიტიკა დაუწყო სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამას, ამან უკანასკნელთა უსიამოვნება გამოიწვია და სამაგიეროს პასუხის გაცემას აპირობდნენ, მაგრამ, თავმჯდომარე—საზოგადოების თხოვნით, აღარ უპასუხნიათ.

კრებამ შემდეგი სამი რეზოლუცია დაადგინა:

1: გურულების მოძრაობაში ნაციონალური მისწრაფების ახრდილიც კი არ არის,—გურული გლეხის მოთხოვნილება, რუსეთის მთელ პროლეტარის მოთხოვნილებაა. გურულებმა თავის დროშაზედ ის პოლიტიკური ლოზუნგი დააწერეს, რომელიც სულს უდგამს და ამხნევებს რუსეთის მოწინავე საზოგადოებას; და იმ დროს, როდესაც რუსეთის წეს-წყობილება უნდა დაიფუშ განახლდეს, როდესაც თვითმპყრობელობა სხვადასხვა მოხერხებულ წამებს ეძებს, რომ რევოლუციონური ცეცხლი ჩააქროს, და როდესაც რეაქციამ თავი წამოჰყო თვით-მპყრობელობის დასაცავად,—გურიამ სასტიკი და აშკარა ომი გამოუცხადა მთავრობას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გურულების დამარცხება, რეაქციის გამარჯვება იქნება,—გამარჯვება კი მთელ მოწინავე რუსეთის გამარჯვება. კრება უცხადებს გურულ გლეხებს გულ-წრფელ თანაგრძნობას და სალამს უძღვნის რ. ს. დ. მუშათა პარტიას, რომლის ხელმძღვანელობითაც განვითარდა გულადი გურია, და მასთან ერთად თხოულობს: 1) ყოვლადგან საომარ წესების მოხსნას, 2) სრულ ამნისტიას, 3) ნამდვილ თავისუფლებას სიტყვისას, კრებისას, კავშირებისას, წერისას და ნამდვილ ხელშეუხებლობას პიროვნებისა და ბინისას, 4) განაპირა კუთხეებისათვის ფართო ოლქებრივ თვითმართველობას და 5) დაფარულ, საიდუმლო, საყოველთაო და პირდაპირი კენჭის ყრით დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევას.

II. კრება პროტესტს უცხადებს ახლად გამოჩეკილ ცრუ-კონსტიტუციის რეაქციონურ ზომებს, რომლისაც ხმარობენ პოლონელ პროლეტარების და კრონშტადტის მეზღვაურ-ჯარის კაცთა დასამშვიდებლად. ამას გარდა, კრება ზიზღს უცხადებს მთავრობას კასპიის ზღვის 15 ზღვაოსანის დაპატიმრებისათვის და თხოულობს მათ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

III. კრება პროტესტს აცხადებს გაზეთ „Новая жизнь“-ის 45 ახლო-ამწყობის დაპატიმრებაზედ და იმის სტამბის დახურვაზედ.

მიტინგი დასრულდა შუაღამეს მარსელიეზას სიმღერით.

პეტრე მაჭავარიანი.

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ ბაქოში ფულებს აგროვებენ. ამავე მიზნით ქართულ წარმოდგენას მართვენ და 20 ნოემბერს ითამაშებენ ბ-ნ გოშართლის „ქოხში“-ს.

ვ. მ.

ფელეტონი

—

ხანჯალი

შენი ჭირიმე, ხანჯალო
რკინაო ხორასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო,
მტრისაგან გამოხსნისაო.

—

გლესავ და გლესავ, ხანჯალო,
ამოგიფერავ გულსაო!
შენ უნდა ეძმო და ეყმო
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

—

ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ,
ორივე გვერდით მჭრელიო;
გპატრონობს გული ფოლადი,
და გიპყრობს რკინის ხელიო.

—

მისი გამჩენის ჭირიმე,
ვინც რომ შენ გამოგჭედაო!..
ჭირიმე, შენი ჭირიმე
მტერს აუტირე დედაო!

—

ბევრი ნაღველი შეასვეს
მტრებმა ამ ჩემსა გულსაო;
შენ მიმკურნალე, მახვილო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

—

მიმოციქულე მტრის გულთან,
მიმიძღვენ ჩემი სალამი.
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჭე, როგორც კალამი

—

მისი წითელი მელნითა
შემიღებინე ქაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა.

—

გლესავ და გლესავ, მახვილო,
ფოლადო, ჩემო რკინაო!
დროა, ამოდი ქარქაშით,
აღარ გაქვს აწ მანდ ბინაო!

აკაკი

* * *

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

—

მივიღეთ თავ. ნიკოლოზ რევაზის ძის ერისთავისაგან, უცნობ პირის მიერ გურულების სასარგებლოდ შემოწირული, ხუთი თუმანი (50 მან).

დღევანდლამდე რედაქციაში გვქონდა 1562 მან. და 41 კაპ. ახლა შესდგა 1612 მან. და 41 კაპ.

ახალი ამბავი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ დურნოვომ და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უფროსმა სევასტიანოვმა ცირკულიარით შეატყობინეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებს: რადგანაც **შესაძლებელია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი გაიფიცნენ**, რაიცა მეტისმეტად არა-სასურველი მოვლენა იქნება, განკარგულება მოახდინეთ, რომ, თუ ვინიცობაა გაფიცვა მართლა მოჰხდა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ნამსახური ძველი მოხელენი, რომელნიც ახლა სამსახურიდან გადამდგარნი არიან, მოიწვიოთ გაფიცულ მოხელეთა მაგივრადაო. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებმა შესაფერი განკარგულება მოახდინეს ამის შესახებ.

◆ სრულიად-რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების მოხელეთა გაფიცვა გუშინაც გაგრძელდა. გუშინ, 16 ნოემბერს დილიდან ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის სადგურში მუშაობდნენ კავკასიის საპიონერთა პირველ ბატალიონის ჯარის-კაცები**, რომელთაც ტელეგრაფზე მუშაობა ძალიან უჭირდებოდათ. გამოირკვა, რომ ჯარის კაცებს ასეთ სერიოზულ მუშაობის შესრულება არ შეუძლიანთ. ,,უიტსონის‘‘ სისტემის აპარატებზე სრულებით ვერ იმუშავეს. მუშაობდნენ მხოლოდ ,,მორზე‘‘-სა და ,,იუზა‘‘-ს აპარატებზე. იყო ისეთი შემთხვევები, რომ ჯარის კაცნი მოსკოვში გასაგზავნ დეპეშებს მანგლისში გზავნიდნენ.

◆ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 17 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ, კაზაკებისაგან დახოცილ, გადამწვარ და **დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ გაიმართება ქართული წარმოდგენა**. წარმოადგენენ ბ-ნ ტრიფონ რამიშვილის 4-მოქმედებიან თანამედროვე დრამას ,,მეზობლებს‘‘. აქვე შევნიშნავთ, რომ ავტორმა ამ დრამის მეოთხე მოქმედება საფუძვლიანად შეასწორა და გადააკეთა კრიტიკოსების ჩვენების თანახმად. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის თავდადებულ გურულებს და მრავლად დაესწრება მათს სასარგებლოდ გამართულს დღევანდელს წარმოდგენას.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალ საგანგებო კრებას, რომელიც 19 ნოემბრისთვის არის მოწვეული, სხვათა შორის, მსჯელობა ექნება იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობამ რამდენი ფული გადასდოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში **დაზარალებულ გურულთა და ეგზეკუციისაგან აწიოკებულ ქართლელთა სასარგებლოდ**.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ამ მოკლე ხანში ტფილისის სახაზინო თეატრის რუსულ საოპერო დასის ანტრეპრენიორი ბ-ნი ლ. დ. დონსკოი გამართავს ერთს საოპერო წარმოდგენას განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაზარალებულ **გურულთა და ქართლელთა სასარგებლოდ**. ასეთივე განზრახვა აქვს რუსულ დრამის (საარტისტო საზოგადოების თეატრში) ანტრეპრენიორს ბ-ნს ნ. ნ. კრუჩინინსა და სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასსაც.

◆ ტფილისის **ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირმა გადაწყვიტა, ტფილისის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციას შეუერთდეს**. თითეული მოსამსახურე ჯამაგირიდან ერთს პროცენტს გადასდებს. შეგროვილ ფულიდან რამდენიმე პროცენტი სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციას გადაეცემა, ზოგი კი მოსამსახურეთა კავშირს მოხმარდება.

◆ ტფილისის ვაჭრებმა **ცალკე კომისია ამოირჩიეს** თავიანთ შორის ფულის შესაკრებად გურულების სასარგებლოდ. ამ კომისიაში არჩეულნი არიან შემდეგი ვაჭრები: ბ-ნნი გულიევი, მილოვი, ტერ არაქელოვი, გ. რატიანი, გველესიანი და ნიჟარაძე. თიმამშევის ქარვასლის ერთი ნოქართაგანი კი ფულს აგროვებს ნოქრებს შორის.

◆ **ტფილისის საპოლიციო უბნების ზედამხედველებს განუზრახავთ კრება მოახდინონ**, რომელზედაც შეიმუშავებენ თავიანთ მოთხოვნილებებს. აზრადა აქვთ, მოითხოვონ ჯამაგირების მომატება და უფროსებისაგან ზრდილობიანი მოპყრობა. მოთხოვნილებანი ტფილისის პოლიცმეისტერს წარედგინება.

◆ გუშინ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხანაში **მუშები გაიფიცნენო**. გაფიცულ მუშათა რიცხვი ორმოცდაათამდეა. გაფიცულნი არიან დღიური მუშები. გაფიცვის მიზეზი ის გარემოებაა, რომ მათი ბედი ყოველთვის რყევაშია: თუ ერთს კვირას ამუშავებენ, მეორე კვირას უსაქმოდა რჩებიან; თუმცა დღიურ მუშებს ხელფასად დღეში 75 კაპ. ეძლევათ, მაგრამ, რა ქნა უნდა, მათთვის ხელსაყრელია თვიურად ყოფნა განსაზღვრულის ჯამაგირით და მუშებიც თვიურ ჯამაგირზე მიღებას თხოულობენ. დღიურ მუშათა მოთხოვნილებას თვიური მუშებიც მხარს უჭერენ.

◆ გუშინ, 16 ნოემბერს, იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა, გურია-სამეგრელოსამ—გიორგიმ, გორისამ—ექვთიმემ და ალავერდისამ—პეტრემ—საქართველოს ექსარხოსს თავიანთ მიერ ხელ-მოწერილი განცხადება წარუდგინეს და აუწყებენ, რომ, უკეთუ უწმიდესი სინოდი დროზე არ გასცემს პასუხს საქართველოს სამღვდელოების სამართლიანს მოთხოვნილებას ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, სამღვდელოება შეიკრიბება და **მთავრობის დაუკითხავად კათალიკოსს ამოირჩევსო**.

◆ 12 ნოემბერს, **ავჭალის ქუჩაზე, აუდიტორიაში პოლონელთა მიტინგი გაიმართა**. მიტინგზე გამოითქვა ის აზრი, რომ საჭიროა ტფილისში დაარსდეს პოლონელთა პოლიტიკური კლუბი. საკითხი, რასაკვირველია, ადიძრა პოლონეთის ახლანდელ მდგომარეობაზე. ერთმა ორატორმა ურჩია კრებას: პოლონეთში დაწყებულმა მოძრაობამ თავისს მიზანს რომ მიაღწიოს, საჭიროა, რომ მიტინგმა თავისი ხმა შეუერთოს მთელის რუსეთის პროგრესიულ ელემენტებს და წარადგინოს საერთო მოთხოვნილებანი: დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნეს რუსეთის ყველა ადგილებში გაძლიერებულ დაცვისა და საომარ დროის წესები და მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება. მიტინგმა ეს წინადადება მიიღო. კლუბის შესახებ მსჯელობა შემდეგ მიტინგისთვის გადაიდო.

◆ სოხუმის ოლქის, სტაროჩერნიგოვისა და ვლადიმირის სოფლის საზოგადოებათ **შემდეგი დეპეშა გამოუგზავნიათ ნამესტნიკისათვის**: „სოხუმის ოლქის ადგილობრივი მკვიდრნი საერთო აჯანყებას აპირობენ. ძალიან გახშირდა ძარცვა-გლეჯა. აქაურ რუსებს გზაზე ვეღარ გაგვივლია. ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლია, გთხოვთ ან დაგვიფაროთ განადგურებისაგან, ან აქედან გადაგვასახლოთო“.

◆ როგორც მკითხველებმა იციან გენ. შირინკინმა ,,თავის გასამართლებლად‘‘ დასწერა: მაჰმადიანთა და სომეხ შორის სისხლის ღვრაში მე რა მონაწილეობა მივიღე, ამას **ადგილობრივი სომხების წარმომადგენელნი იტყვიანო**. ამაზე ,,არშალუისი‘‘ შენიშნავს: კარგი იქნება ვიცოდეთ, სომხების რომელ წარმომადგენლებმა იციანო შირინკინის მოქმედება ამ საქმეში. ჩვენ კი ნათლად ვხედავთ, რომ ათი თვეა სისხლი იღვრება, მსხვერპლთა ხელები გამოუშვერიათ და მთავრობას შველას ეხვეწებიან, ხოლო მთავრობა, იმის მაგივრად, რომ წრფელის გულით შეუდგეს ხალხის დამშვიდებას, ჰგზავნისო იმისთანა მოხელეებსა, როგორიც იაცკევიჩი, კოვალიოვი და სხვებიაო.

◆ 15 ნოემბერს ტფილისის სადეპუტატო საკრებულოს წევრებს, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ალ. ჯამბაკურ **ორბელიანის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდათ** ქართველთა იმ ჯგუფის განცხადების განსახილველად, რომელთაც სურთ, რომ სათავად-აზნაურო თეატრი ქართულ პოლიტიკურ კლუბად გადაკეთდეს. კრებამ ეს აზრი მოიწონა და დაადგინა, ამ საგნის შესახებ 19 ნოემბერს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას ვრცელი მოხსენება წარუდგინოს. სადეპუტატო საკრებულომ თეატრის კლუბად გადაკეთების პროექტი და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ტეხნიკებს დაავალა, რომელთაც თავიანთი მუშაობა 19 ნოემბრამდე უნდა დაასრულონ.

◆ 20 ნოემბერს კრება აქვთ **ტფილისის მეპურეებს**, პროფესიონალურ კავშირის დასაარსებლად.

◆ ამ დღეებში **მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ოფიცერი ვლადიმირ სულაქველიძე**, რომელიც პოლიტიკურ რწმენისათვის იყო დაჭერილი. ბ-ნი სულაქველიძე პასუხის გებაში იყო მიცემული აგრეთვე იმის გამო, რომ, მთავრობის განკარგულებით, შორეულ-აღმოსავლეთის ომში უნდა წასულიყო, მაგრამ განკარგულებას არ დაემორჩილა. ამ ჟამად ქალაქს გარედ ცხოვრების ნება არა აქვს.

◆ ამჟამად მეტეხის ციხეში ზის ოთხი ახალგაზრდა: კაჩაური, პავლიაშვილი და სხვანი, რომელთაც **„საომარ რაზმის“ წევრობა ბრალდებათ**. მთავრობას ეჭვი აქვს, რომ მათ უნდოდათ სოციალისტ-რევოლუციონერთა იმ განაჩენის სისრულეში მოყვანა, რომლითაც კავკასიის საპოლიციო ნაწილის უფროსს გენერალ შირინკინს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. გამოძიება დასრულდა და საქმე ოლქის სასამართლოს გადაეცა.

◆ ამ თვის ბოლო რიცხვებში მესამე სავაჟო გიმნაზიის მოსწავლენი წარმოდგენის გამართვას აპირობენ. **ფული გადაიდება გიმნაზიასთან ახალ ბიბლიოთეკა სამკითხველოს დასაარსებლად**. წარმოდგენილ იქმნება იბსენის „ექიმი შტოკმანი“.

◆ ექ. ვახტანგ ღამბაშიძეს კავკასიის ნამესტნიკთან **შუამდგომლობა აღუძრავს, ტფილისში ქართულ საქმიო ჟურნალის გამოცემის შესახებ**. ჟურნალი ქართულ ენაზე უნდა გამოვიდეს. სახელად ერქმევა „ქართული სამკურნალო ფურცელი“. ჟურნალს მიზნად ექნება საშუალო მკითხველს მიაწოდოს ჰიგიენის და საექიმო მეცნიერების ცნობები. გამოვა ჟურნალი თვეში ერთხელ ან ორჯელ და ეღირება წელიწადში ორი ან სამი მანეთი.

◆ 20 ნოემბერს **ტფილისის ადვოკატებს კრება აქვთ** პროფესიონალურ-პოლიტიკურ კავშირის დასაარსებლად.

◆ ქალაქის გამგეობას დადგენილი აქვს, რომ რომელიმე დიდ თანამდებობაზე არ მიიღოს გარეშე პირი, თუ არა ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურე, მაგრამ ამ დადგენილებას ხშირად არღვევს ხოლმე. ამ დღეებში განუზრახავს სასწავლებელთა კომისიის საქმის მწარმოებლად მიიღოს გარეშე პირი, რომელსაც ხმოსნებმა რეკომენდაცია გაუკეთეს. ამის გამო ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატებს კრება ჰქონდათ და დაადგინეს: მოსთხოვონ გამგეობას, რომ გარეშე პირს **ან მოსამსახურეს არ მიეცეს დიდი ადგილი** მოსამსახურეთა დაუკითხავად, რადგან მხოლოდ მოსამსახურეებს შეუძლიანთ ღირსეულის კაცის ამორჩევაო.

◆ რამდენიმე დღეა, სწავლა დაიწყო ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში. მოსწავლეებს გადაუწყვეტიათ, **მხოლოდ იმ საგნების გაკვეთილებს დაესწრონ, რომელიც მათ ეინტერესებათ** მოსწავლეები დღემდე ამ დადგენილებას მტკიცედ ასრულებენ.

◆ ტფილისის ქუჩებზე გაკრულია პროკლამაციები შემდეგის შინაარსისა: „ამ სამის დღის წინად შეითანბაზარში ბოროტ-განმზრახველთაგან მოკლულ იქმნა სამი თათარი. ხმა გავრცელდა, რომ ადგილობრივი სომხები თათრების წინააღმდეგ გაილაშქრნენ და ამოხოცვას უპირობენო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ტფილისის მუშათა ორგანიზაცია მოვალედ რაცხს თავისს თავს, გააფრთხილოს ტფილისის მოქალაქენი, რომ ეს ხმები გამოგონილია იმ პროვოკატორებისაგან, რომლებზედაც დაყრდნობილია ამჟამად რუსეთის თვითმპყრობელობის ნანგრევები და რომელსაც აზრადა აქვს, ამნაირად, ერთი ეროვნება გადაჰკიდოს მეორეს და, ვითომდა ეროვნულ შუღლის ნიადაგზე, გააცხოველოს რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგად დაწყებული კონტრრევოლიუცია. მოკლული სამი მაჰმადიანი მხოლოდ პროვოკატორებისა და ხულიგანების მსხვერპლია, და ვიმედოვნებთ, რომ ტფილისში არაოდეს არ განმეორდება ის საშინელებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაქოს, განჯისა და ერევნის გუბერნიებში. სომხებო და მაჰმადიანო მოქალაქენო! თავი შეიკავეთ და არ დაუჯეროთ ამ პროვოკატორულ ხმებს; გაუფრთხილდით, რომ ტფილისში არავითარი ეროვნული განხეთქილება სომხებთა და მაჰმადიანთა შორის არ არსებობს; წაგვიხდეთ ერთმანეთს ჰუმანიური განწყობილება და ამით განამტკიცეთ ურთიერთს შორის მტკიცე და შეურყეველი ეროვნული სოლიდარობა. ნუ დაარღვევთ ნერვიულად გულისათვის თქვენს ურთიერთშორის სიყვარულს. გაუმარჯოს ერებებათა შორის სოლიდარობას! ძირს ხულიგნები და მთავრობის პროვოკაცია“.

◆ გუშინწინ ნაძალადევში მიტინგი მოჰხდა გასტრონომიულ სასოვაგეთა და თევზეულობის მოვაჭრეთა ნოქრებისა. მიტინგზე დაადგინეს შემდეგი: 1) ყველა გასტრონომიული და თევზით სავაჭრო მაღაზიები უნდა იღებოდეს დილის 7 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 7 საათზე, ე. ი. გაღებული უნდა იყოს 12 საათის განმავლობაში; ნოქრებს სადილისათვის მიეცეთ 1 საათი—1-იდან 2-მდე ან 2-დან 3 საათამდე; 2) კვირაობით ყველა ჩამოთვლილი მაღა-

* * *

სამხედრო უწყება

წერილი მეორე

როგორც პირველ წერილშიაცა ვსთქვი, უფროსები სცდილობენ ჯარის კაცი ტიკინად გადააქციონ: „не разсуждай, дѣлай, что прикажутъ“,—აი რას ჩასძახიან ჯარის კაცს ყოველ დღე და ამასთან ერთად ისეთს შიშს უნერგავენ გულში, რომ ჯარის კაცი აფიცრის დანახვაზე შორიდანვე თრთის და კანკალებს. ოდნავი ურჩობა რომ გამოიჩინოს ჯარის კაცმა, აფიცრის ბრძანება რომ დაუყოვნებლივ და სავსებით არ აასრულოს, როგორც უფროსი, ისე სასამართლო სასტიკად სჯის მას. ეს ურჩობა და ბრძანების აუსრულებლობა „აჯანყება“ რომ არ გეგონოთ, მოვიყვან რამდენსამე მაგალითს.

ერთი ჯარის კაცი რაღაც დანაშაულობისთვის „კარცერში“ იჯდა. ივლისის სიცხეები იდგა. დატუსაღებული სიცხით იგუდებოდა და პატარა ფანჯარა, რომელიც მხოლოდ ზეცას უყურებდა, ნახევრად ღია ჰქონდა. გამოიარა აფიცერმა და ღია ფანჯრის დანახვაზე გაფითრდა, იქაურობა დააწიოკა და უბრძანა, ფანჯარა დაეკეტნათ. ბევრი ეხვეწა ტუსაღი, სიცხით სული მეხუთება, პატარა ხანს ღია იყოსო, მაგრამ აფიცრის გული ვერაფრით გაალხო. აფიცერმა ბევრი იგინა, ილანძღა და წავიდა. საბრალო ტუსაღს ეგონა, აფიცერი სახლში წავიდაო და ერთი საათის შემდეგ ფანჯარა ისევ გააღო, მაგრამ, დახე უბედურებას, აფიცერი დაბრუნდა უკან და, რა დაინახა ღია ფანჯარა, დასწერა უფროსთან რაპორტი: ამა და ამ ჯარის კაცმა ჩემი ბრძანება არ შეასრულაო. ჯარის კაცი გაასამართლეს და სამი წლით დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნეს. და ეს იმ დროს, როდესაც საბრალოს ორი თვის სამსახური-ღა ჰქონდა დარჩენილი.

აი, მეორე მაგალითიც. ერთმა აფიცერმა კარგა ხანს უძახა თავის „დენშჩიკს“ და, რომ ვერ გააგონა, სამზარეულოსკენ გაემართა. „დენშჩიკი“ ამ დროს სამზარეულოში თავის ამხანაგს ქაღალდს ეთამაშებოდა თურმე და აფიცრის დაძახება ვერ გაეგონა. რა დაინახა ფანჯრიდან, რომ აფიცერი სამზარეულოსკენ მოდიოდა, დენშჩიკი შეშინდა, რადგანაც მეტად სასტიკი აფიცერი იყო, და კარები ჩაკეტა, თვითონ და მისი ამხანაგი კი ტახტ ქვეშ შეძვრნენ. აფიცერმა უბრახუნა კარებს, მაგრამ არ გაუღეს. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ორივენი სამართალში მისცეს და თითოს ორ-ორი წლით დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნა მიუსაჯეს.

აი, რა სასტიკად ექცევიან ჯარის კაცებს, რათა საქმე ისე დააყენონ, რომ ყოველივე ბრძანება დაუყოვნებლივ შესრულებულ იქმნას. სამხედრო წესდებაშიაც ასე სწერია: „შეასრულე ყველაფერი, რასაც უფროსი გიბრძანებს, ხოლო ხელმწიფის წინააღმდეგ თუ რამე გიბრძანა, ნუ შეასრულებო“.

დანარჩენი ბრძანება, რაც უნდა უკანონო იყოს იგი, ჯარის კაცმა უსიტყვოდ და დაუფიქრებლად უნდა შეასრულოს. უკანონო ბრძანებას კი ბ-ნნი აფიცრები ხშირად აძლევენ თავიანთ ხელქვეითებს. მაგალითად, იყო ერთი შემთხვევა, რომელიც ერთმა გარეშე პირმა გამოამჟღავნა და იმის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ აფიცერმა ღირსეული სასჯელი მიიღო, თორემ ჯარის კაცი როგორ გაბედავდა აფიცერზე ჩივილს და ეს საქმეც ჩაივლიდა ისე, როგორც მრავალს სხვას ჩაუვლია. საქმე ასე იყო: საღამო ხანს აფიცერი ცხენით დაბრუნდა წვეულობიდან კარგად შეზარხოშებული. აფიცერი მარდად გადმოხტა ცხენიდან, დაუძახა „დენშჩიკს“, აუწია ცხენს კუდი და უბრძანა; მოდი, აკოცეო. სალდათი შეკრთა და უკან დაიხია.—შენ არ გინდა, ჩემი ბრძანება აასრულოო?—იყვირა აფიცერმა—ამ საათში აკოცე, თორემ შუაზე გაგჩხავო! მეტი ჯანი არ იყო, სალდათმა ბრძანება შეასრულა. ამ საზიზღარ სცენას უყურა ერთმა პატიოსანმა ადამიანმა და საქმე გამოაქვეყნა. აფიცერი გაასამართლეს და აფიცრის ღირსება ჩამოართვეს, ხოლო სალდათს მადლობა უთხრეს: ყოჩაღ, რომ ბრძანება კარგად აასრულეო, ბრძანება რომ არ შეგესრულებინა, თუმცა აფიცერს მაშინაც დავსჯიდით, მაგრამ ბრძანების აუსრულებლობისათვის შენც სასჯელი არ აგცდებოდაო.

საზოგადოდ ჯარის კაცი იმ აზრისაა, რომ, სასამართლოში თუ მოხვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თავის თავზედაც და მშობლებზედაც სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს. ,,Попадешь подъ судъ“ იტყვის სალდათი და ხელს დაიქნევს. ეს ჩვენ ენაზე ნიშნავს: ჯალათის ხელში ჩავარდებიო. არც შებრალება, არც პატრონი, სასამართლოს განაჩენს რომ წაუკითხავენ, არავინ არის, რომ აუხსნას, რა გადაუწყვიტეს, რა სასჯელი მიაყენეს.

ერთს სტანიცაში (თერგის ოლქში) დროებით ერთი როტა სალდათი იდგა. დილით აფიცერმა როტა თოფის სასროლად სოფელს გარედ გაიყვანა. როტა გვიან საღამოზე დაბრუნდა. ერთს სალდათს ძალიან მოშივნოდა. სოფელში მას ერთი ნაცნობი დედაკაცი ჰყავდა, რომელსაც შვილივით უყვარდა და მის სახლში ხშირად დაიარებოდა. ამ დედაკაცის სახლს რომ გვერდზე გაუარეს, სალდათი ჩამორჩა როტას და სახლისკენ მიუხვია, უნდოდა მოხუცისთვის ერთი ნაჭერი პური გამოერთმია, მაგრამ, საუბედუროდ, სახლი დაკეტილი დახვდა, დედაკაცი სახლში არ იყო. სალდათი მიაწვა ფანჯარას, ფანჯარა გაიღო, თოფი კედელზე მიაყუდა, გადახტა სახლში და, რადგანაც ამ სახლში შინაურ კაცად ითვლებოდა, ერთი ნატეხი პური და პატარა ნაჭერი ღორის ქონი გამოიტანა. მოხუცი დედაკაცი სახლში რომ დაბრუნდა, ნახა, რომ იმის სახლში ვიღაც ყოფილა, აიღო და პოლიციას გამოუცხადა. გაიმართა გამოძიება. სალდათი შეიპყრეს და სამართალში მისცეს. დედაკაცმა რომ გაიგო, ვინც ყოფილა მისი „ქურდი“, მივიდა ტირილით პოლკის უფროსთან, აუხსნა გარემოება, უთხრა, არ ვიცოდი, თუ ეგ იყო, მაგას შვილივით ვუყურებ, მაგას ნება ჰქონდა, ჩემს სახლში გადმოსულიყო და ყველაფერი წაეღო, გთხოვთ, ნუ დასჯითო. მაგრამ სალდათი მაინც გაასამართლეს, დამნაშავედ იცნეს **სახლის გატეხვაში იარაღით ხელში** (თოფი რომ კედელზე მიაყუდა), და თორმეტი წლით კატორგაში უკრეს თავი! სამხედრო სასამართლო რომ სალდათს უყურებდეს, როგორც ადამიანს და არა როგორც ძაღლს, სალდათს რომ პატრონი ვინმე გამოსჩენოდა, მოსამართლენი რომ ოდნავ დაფიქრებულიყვნენ, როდესაც განაჩენს კოხტად ხელს აწერდნენ, განა ის სალდათი დაიღუპებოდა, განა მის მშობლებს, ან ცოლ შვილს მარჩენელი დააკლდებოდა? მაგრამ სალდათი აფიცრის თვალში სწორედ რომ „пушечное мясо“ არის, რომელიც მოვალეა მას ემსახუროს, რომლის მეოხებით აფიცრებმა ,,ჩინი‘‘ და ,,მენდლები‘‘ უნდა მიიღონ, სამსახურში წინ წაიწიონ და სხვა არაფერი.

ვიმეორებ, ყოველი უფროსი სცდილობს, სალდათი ავტომატიურ მანქანად აქციოს და ამისთვის ის მზად არის, ყოველგვარი საშუალებანი იხმაროს, რომ თოფის ვარჯიშობისა, სროლისა, ,,მარშიროვკისა‘‘ და სამხედრო დისციპლინის მეტი არაფერი ასწავლოს, სხვაფრივ გონება დაუხშოს და შიში, მხოლოდ შიში ჩაუნერგოს გულში. ოდნავ განვითარებული, წერა-კითხვის მცოდნე სალდათი როტის უფროსს ჭირივით ეჯავრება და ყოველი ღონისძიებით სცდილობს, როტიდან გააძევოს.—მე არ მინდა ამგვარი სალდათები, სალდათი უნდა სალდათი იყვეს!—ამბობს ამ შემთხვევაში როტის უფროსი, ე. ი. სალდათი მაგრად უნდა აპარტყუნებდეს ფეხებს, უშვერის პირით უნდა ილანძღებოდეს და ,,такъ точно‘‘, ,,никакъ нѣтъ‘‘-ის მეტი არაფერი არ უნდა იცოდეს.

როტის უფროსი მიზანს აღწევს. საქმე კარგად მიდის, სანამ სალდათებს თოფის სროლას დააწყებინებდნენ. აქ კი აფიცრები უხვად მკიან იმას, რასაც სთესენ. ავტომატად ქცეული სალდათი მიზანში თოფის სროლას ვერ ახერხებს. მიზანში მორტყმევას ცოტაოდენი მოსაზრება უნდა და, რაც ყველაზე უმთავრესია, სრული სიმშვიდე. აქ აფიცრები სცდილობენ, სალდათებს ტკბილად ელაპარაკონ, უხსნიან მშვიდობიანად, თოფი როგორ უნდა დაიჭირონ, მიზანს როგორ გახედონ, ჩახმახს როგორ გამოსწიონ და სხვა, მაგრამ ერთხელვე დაშინებული სალდათი სდგას თოფით ხელში, უყურებს მიზანს და მთელი ტანით ცახცახებს.—ნუ ღელავ, რისი გეშინიან, აბა, როგორ უნდა მოარტყა მაგრე!—დასტრიალებს თავს აფიცერი, და სალდათი რომ გაცდენს, გული მოსდის, ჯავრობს და ემუქრება მას. საქმე თანდათან მწვავდება, აფიცერი ვერ გრძნობს ნამდვილს მიზეზს, რად აცდენს თოფს სალდათი, ის იმ აზრს ადგება, რომ სალდათს არ უნდა მოარტყას, განზრახ არ არტყამს, და აგინებს, ლანძღავს, სცემს, რაც ძალი და ღონე აქვს, და სჯის სასტიკად. გაიხედავთ მინდორზე, სადაც სროლა ხდება: აქ უნტერ-აფიცერი სცემს სალდათს, იქ აფიცერი, იქ დაუყენებიათ რამდენიმე სალდათი ერთად, გუდები (ранецъ) ქვებით აუვსიათ და პაპანაქება სიცხეში (სროლა ჯარის კაცთ ზაფხულობით აქვთ) უმოწყალოდ დაარბენინებენ მინდორში, სანამ

ზიები მთელის დღით დაიკეტოს; 3) ქუჩებში აღკრძალულ იქმნას ჩამოტარება ძეხვებისა, თევზეულობისა და სხვა ამგვარ პირველ საჭიროებას საზოგადოებისა—მხოლოდ კვარაობით, ე. ი., როდესაც ზემოაღნიშნული მაღაზიები დაკეტილი იქნება; 4) ნება არა ჰქონდეთ ხაზეინებს ნოქრების უმიზეზოდ დათხოვნისა, ხოლო თუ საპატიო მიზეზი იქნება, მაშინ ნოქრის დათხოვნის საქმე უნდა გადაწყვიტოს ნოქართაგან ამორჩეულმა კომისიამ; 5) ნოქარმა, რომელიც თვეში 20 მანათზე ნაკლებს იღებს ჯამაგირს, თვეში ორჯერ ხაზეინის ხარჯზე აბანოში უნდა იაროს; 6) თუ ვინიცობაა ხაზეინი რომელსამე ნოქარს დაითხოვს და სხვას დაიჭერს, უთუოდ იმდენივე ჯამაგირი უნდა მისცეს, რამდენიც პირველს, დათხოვნილ ნოქარსა ჰქონდა; აგრეთვე ნოქარიც არ უნდა დასთანხმდეს პირველზე ნაკლებ ჯამაგირის მიღებას; 7) იმ ნოქარს, რომელსაც წელიწადზე მეტი უმსახურნია, ავადმყოფობის დროს ერთის თვის განმავლობაში უნდა შეუნახოს უკლებლად ჯამაგირი და ადგილიც; სამის წლის ნამსახურს—ჯამაგირი და ადგილი სამის თვის განმავლობაში, ხუთის წლისა ან მეტისას—4 თვით ჯამაგირი და ადგილი; 8) ვისაც ერთი წელიწადი უმსახურნია, უნდა მიეცეს დასასვენებლად წელიწადში ორი კვირა ჯამაგირის შენახვით; 9) ხაზეინები ნოქრებსა და შეგირდებს ზრდილობიანად უნდა მოეპყრან; 10) არავინ იქმნას გაფიცვისათვის დათხოვნილი და, ვინც ამ მიზეზით ყოფილა დათხოვნილი, ყველანი უკანვე მიიღონ ხაზეინებმა და სრული ჯამაგირი მისცენ; 11) ხაზეინებმა გააუმჯობესონ ნოქრების სადილი და, თუ ვინიცობაა ნოქრები უარს განაცხადებენ ხაზეინების სადილის მიღებაზე, მაშინ მუდამ დღე მიეცეთ: ნოქრებს—30—40 კაპ., ხოლო შეგირდებს—20 კ.; 12) მოისპოს ნოქრებისა და შეგირდების ხაზეინის სახლში სამსახური; 12 წლის შეგირდებს ჯამაგირად მიეცეთ თვეში ხუთი მანათი, 12 წლისაზე ნაკლები არავინ იქმნას მიღებული შეგირდად და სხვ.

◆ გუშინ-წინ, 15 ნოემბერს, ვერის ხიდზე ეტლით მიდიოდა კაზაკთა აფიცერი. როდესაც ეტლი მიუახლოვდა იმ ფარდულს, სადაც ხიდზე გასვლისას შაურს ართმევენ, ფულის შემკრებმა კაცმა ეტლი გააჩერა და მეეტლეს ფული მოსთხოვა. აფიცერმა ხმალი ამოიძრო, კაცს მოუქნია და გზას გაუდგა.

◆ მომავალ კვირიდან გაზაფხულამდე მამადავითის მთაზე გაკეთებულ ფუნიკულერის ვაგონები აღარ იმუშავებენ.

კავკასიის ქრონიკა

ბაქოში მყოფ ჯარების უფროსის თანაშემწე, პოლკოვნიკი ტოლმაჩევი ღამის სამ საათზე საკრებულოდან ეტლით სახლში ბრუნდებოდა. კრასნოვოდის ქუჩაზე მეეტლეს ვიღაცამ დაუძახა: გაჩერდიო, და, ეტლი რომ გაჩერდა, პოლკოვნიკს ტოლმაჩევს ვიღაცა ეცა, მაგრამ უცბად უკან დაიხია. ეს **ყმაწვილი კაზაკი აღმოჩნდა** და, რა დაინახა თავისი უფროსი, გაიქცა. ტოლმაჩევმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ მოარტყა თუ არა. კაცმა არ იცის, რადგან კაზაკი მიიმალა.

◆ ბაქოში ჩამოყვანილ ჯარის კაცთ ძალიან უკვირთ, **ქუჩაში ჩადრ-წამოსხმულ თათრის ქალებს** რომ დაინახავენ და, სადაც კი შეხვდებიან, ჩადრებს ჰგლეჯავენ და ხელსა ჰხვევენ. ამ უზრდელობას არა-ჩვეული თათრის ქალები თურმე სირცხვილით იწურებიან და ხშირად გული უწუხდებათ. მაჰმადიანი ყმაწვილი კაცები მეტად აღშფოთებული არიან ამ გარემოებით და ადვილი შესაძლებელია ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს.

◆ 20 ოქტომბერს, ,,პატრიოტულ პარტიის'' მანიფესტაციის დროს, გაზეთ ,,ბაქოს'' რედაქციაში ხულიგანებთან ერთად შეიჭრა ერთი აფიცერი და რედაქციის ერთს მოსამსახურეს ცემა დაუწყო. როგორც ამჟამად საქმე გამოირკვა, ეს აფიცერი ყოფილა **ჟანდარმების როტმისტრი ზავალიცკი**

◆ კავკასიის ნამესტნიკს კავკავიდან **შემდეგი დეპეშა მოუვიდა:** ,,ვშიშობთ, რომ ჩრდილო კავკასიაში არ განმეორდეს ის სისხლის ღვრა და ხოცვა-ჟლეტა, რაც ამასწინად ბაქოში მოხდა, ამიტომ გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, დაუყოვნებლივ წაიყვანოთ აქედან **გენერალი ხვეტლოვი**, რომელიც ხალხის დამშვიდების მაგივრად ჩვენში, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, თავის პროვოკატორულ სიტყვებითა და მოწოდებებით ერთ ერს მეორეზე ამხედრებს და ეროვნულ განხეთქილებას იწვევს''. დეპეშას ხელს აწერს 96 კაცი.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება

სამშაბათს, 15 ნოემბერს, საბჭოს ხმოსანთა კრებამ განიხილა რამდენიმე საყურადღებო საგანი.

ხმოსანი მიქელაძე გამგეობას ეკითხება: მცდელობა გქონდათ თუ არა მცხოვრებთა დამცველ მილიციის საქმის მოწყობის შესახებო. თავმჯდომარე თავ. **ვ. ნ. ჩერქეზიშვილი** უპასუხებს, რომ განსაკუთრებით მილიციის საქმეების განსახილველად 16 ნოემბრიდან დავიწყებთ კრებებს და რამდენსამე დღეში საქმეს მოვაწესრიგებთო. ხმოს. **ხატისოვი** ამბობს: 13 ნოემბერს ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს სამი მაჰმადიანი, ერთი სპარსეთის ქვეშევრდომი და ორი აქაური მცხოვრები. ამ გარემოებას შეეძლო სომეხთა და მაჰმადიანთა შორის განხეთქილება ჩამოეგდო. მეოთხე და მეხუთე საპოლიციო უბნის სომხების წინადადებით, მე, გამგეობის წევრი კოქჩაევი და სასანიტარო ინსპექტორი სტეფანოვი შევუდექით გავრცელებულ ხმების შემოწმებას. მკვლელობა, როგორც პირადად დავრწმუნდით, ნაციონალურ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, იგია ნაყოფი პირადის ანგარიშისა. იმავ აზრისანი არიან შეიხ-ულ-ისლამი და სპარსეთის საგენერალო კონსული, რომელმაც სპარსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს უკვე მისწერა: ტფილისში მოკლული სპარსელი პირად ანგარიშებისა ან პროვოკაციის მსხვერპლია და მცხოვრებნი დაამშვიდეთო. გამგეობის წევრმა **კოქჩაევმა** დაუმატა: ერთმა დაჭრილმა თვით განაცხადა, რომ ძე ჩემმა მტერმა დამჭრაო. გამგეობის მეორე წევრმა თავ. **არღუთინსკიმ** წაიკითხა მოწოდება ტფილისის ერთ-ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციისა, რომელიც მცხოვრებთ არწმუნებს, რომ ეს მკვლელობა ხულიგანთა პროვოკაციის ნაყოფიაო. ერთმა **მაჰმადიანმა** სთქვა, რომ ხულიგანთა შორის სომხებიც არიანო. მე თვითონ დამეცა თავს სამი „დროშაკისტი" და რევოლვერით მოკვლას მიპირებდნენ. ეს ამბავი ვაცნობე დაშნაკცუტუნის პარტიას, რომელმაც საქმის გამოძიება აღმითქვა, მაგრამ დღესაც არ დავუკმაყოფილებივარ. მეც სხვებთან ერთად ვამბობ: ძირს ხულიგანები, მაგრამ ამასაც ვითხოვ, რომ ჩემი თავსდამცემნი უეჭველად გასამართლებულნი იქნენ. **ა. ალიბეგოვი** (გარეშე) ამბობს, რომ გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ ბაქოს ხულიგანები ერთს ტაძარში შეიკრიბნენ და დაადგინეს ბაქოდან ყველა სომხების გაძევება; დადგენილებას ხელი მოაწერა ბაქოს ქალაქის მოურავმა საფარ-ალიევმაო. მე ვითხოვ, რომ ტფილისის ქალაქის თვითმართველობა შეეკითხოს ბაქოს თვითმართველობას, მართალია ეს თუ არა.

თავმჯდ. თავ. **ჩერქეზიშვილი** აგონებს კრებას, რომ ამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მთელს რუსეთში ყველაზე მეტად ებრაელები დაზარალდნენო, და წინადადებას აძლევს, საბჭომ მათ სასარგებლოდ ფული გადასდოს.

საბჭომ დაზარალებულ ებრაელების სასარგებლოდ ერთხმად 5,000 მანეთი გადასდო.

ამის შემდეგ კვლავ გაგრძელდა კამათი ხმ. ხუდადოვის იმ მოხსენების შესახებ, რომლის განხილვამაც წინა კრებებზე ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია. ხმ. ბ ა ბ ო ვ მ ა ერთხანს დიდხანს ილაპარაკა და მოითხოვა, რომ ქალაქის გამგეობამ მოიწვიოს ტფილისის პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და მათთან ერთად გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია საყოველთაო, პირდაპირ, და ფარულ კენჭის ყრით არჩევნების ახლავ განხორციელება.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, საბჭომ დაადგინა: არჩეულ იქმნენ ახალი ხმოსნები საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, და ქალაქის გამგეობას დაევალოს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს საარჩევნო სიების შედგენას.

განხილულ იქმნა აგრეთვე წინადადება ხმ. ხატისოვისა, რომელიც ითხოვს, ქალაქის საბჭომ მოაწყოს ლექციები სახელმწიფო სათათბიროს ძირითად საფუძველთა განსამარტებლად და ქალაქმა იშოვოს მოხერხებული შენობა მიტინგების გასამართავად. ამ წინადადებასთან ერთად კრებას წარედგინა განცხადება საბჭოს მდივნის სტ. პრელაშვილისა, რომელიც ქალაქს წინადადებას აძლევს, რომ ნაძალადევში ერთი დესეტინა მიწა დაუთმოს მიტინგებისთვის შენობას, რომლის ასაგებადაც 5,000 მ. უნდა გადასდოს და აგრეთვე ხელის მოწერა გამართოს მცხოვრებთა შორის. ხმ. დ ო ლ უ ხ ა ნ ო ვ ი კრებას ურჩევს, რომ სახალხო კითხვათა გამმართველ საზოგადოებას წინადადება მისცენ, რომ 12,000 მანეთი, რომელიც მან სახალხო სახლის ასაგებად შეჰკრიბა, ამ საქმისთვის გადასდოს.

დასასრულ მიღებულ იქმნა ხმ. ხატისოვისა, სტ. პრელაშვილისა და დოლუხანოვის წინადადებანი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ხმ. ბაბოვის წინადადებამ ტფილისში თავისუფალ სახალხო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკურ მუზეუმის დაარსების შესახებ, რომელსაც ერთ დროებითად 15—20 ათასი მანათი ხარჯი მოუნდება. ხმ. ბაბოვი აგონებს საბჭოს, რომ 100,000 მანათი ქალაქს ამ საქმისთვის უკვე აქვს გადადებული და შეუძლიან ეს საქმე ჩქარა განახორციელოს, რადგან ამ ორ დაწესებულებათა დაარსებით მტკიცედ აღიბეჭდება ხალხის ხსოვნაში 17 ოქტომბრის მანიფესტი და მშრომელ ხალხის პირველი გამარჯვება. ხმ. დ ო ლ უ ხ ა ნ ო ვ ი წინააღმდეგია ასეთ წინადადებისა, იმ მიზეზით, რომ ახალი საბჭო უნდა აირჩეს, რომელშიაც მშრომელი ხალხიც იქმნება, და მაშინ ისინი თვითონ გადასწყვეტავენ, როგორ აღიბეჭდონ თავიანთი გამარჯვება.

ხმ. დოლუხანოვის აზრი თითქმის ყველა ხმოსანმა მოიწონა.

რუსეთი

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საერთაშორისო სოციალურ ბიუროს შემდეგი **წერილი** გაუგზავნა: „ძვირფასო ამხანაგებო! რუსეთის დიდებულ რევოლუციას მეტად სერიოზული დრო დაუდგა. მთავრობა ცდილობს ისევ ისეთი რეაქცია იხმაროს, რომელიც ჩვენ 1863 წელს ვიგემეთ. პოლონეთის ხალხმა თავის კულტურულ თვით-გამორკვევისა და თავისუფალ განვითარებისთვის ავტონომია მოითხოვა, მეფის მთავრობამ კი პასუხად მთელ პოლონეთში სამხედრო წესები შემოიღო და ცდილობს რუსთა და პოლონელთა შორის ეროვნული შუღლი ასტეხოს და ამით რევოლუცია მოჰკლას. მეფის მთავრობის ასეთ პოლიტიკას მხარს უჭერენ ევროპის ნახევარ თვითმპყრობელნი. ვილჰელმ მეორის მთავრობა **ჯარს** აგროვებს პოლონეთთან და, მოსალოდნელია, რომ ეს **ჯარი** პოლონელთა დასაწყნარებლად რუსეთში შემოვა. რუსეთის რევოლუციის საქმე მთელი კაცობრიობის საქმეა, და ამჟამად იგი დიდ განსაცდელში ჩავარდა. რუსეთის პროლეტარიატი მხარს უჭერს პოლონელ ძმებსა და ენერგიულ პროტესტს აცხადებს მათდამი ძალმომრეობის ხმარების წინააღმდეგ. გთხოვთ შეგვატყობინოთ, რას აპირობთ ამ ხიფათის თავიდან ასაცდენად და რა გზას დაადგებით, თუ რუსეთის ხალხმა ამის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო". რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ასეთივე წერილი გაუგზავნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ზოგიერთებს რომ ჰკითხოთ, მარტო ნაციონალისტები თხოულობენ ავტონომიას. ზემოხსენებულიდან კი ნათლადა სჩანს, რომ პოლონეთის პროლეტარიატიც თხოულობს ავტონომიას, რომელსაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტიც მხარს უჭერს და ავტონომიისთვის ბრძოლასაც აპირობს.

◆ რუსეთის გაზეთებში აუარებელი **წერილები იბეჭდება სალდათებისა და აფიცრებისა**, რომელნიც განმათავისუფლებელ მოძრაობას ემხრობიან და სალამს უძღვნიან მებრძოლთ. ზოგ პოლკიდან 200 და 300 კაცი აწერს ხელს. განცხადებანი და წერილები რუსეთის ყოველ კუთხიდან მოდის. ბევრ ალაგას სალდათები იკრიბებიან, თავიანთ საჭიროებაზე ლაპარაკობენ და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას თხოულობენ. ბევრგან სიტყვიდან საქმეზედაც გადადიან და სურვილს ასრულებენ. უმაღლესი სამხედრო მთავრობა დაიბნა და აღარ იცის, როგორ მოიქცეს. ეს ცეცხლი რუსეთს ყოველ კუთხიდან ედება და, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს ის, რაც მეორედ მოსვლა იქნება მომაკვდავ თვითმპყრობელობისთვის.

◆ **პარტიული ბრძოლა.** პეტერბურგში და სხვაგანაც გაცხარებული ბრძოლა აქვთ სოც.-დემოკრატებსა და სოც.-რევოლუციონერებს. მიტინგებზე ორივე პარტიის ორატორები ერთმანეთს ეკამათებიან. გაზეთებიდანა სჩანს, რომ უკანასკნელ დროს სოც.-რევოლუციონერებს ბევრ ალაგას გაუმარჯვნიათ. მარტო პეტერბურგში მუშებმა შემდეგ ქარხნებში მიიღეს სოც.-რევოლუციონერთა რეზოლუციები: პუტილოვისა, კოპელისა, ერიქსონისა, შრედერისა და კიდევ ბევრგან.

◆ **გლეხთა მოძრაობა**. სარატოვისა და მახლობელ გუბერნიებში გლეხთა მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მემამულეთა სახლ-კარი იწვის, აუარებელი სისხლი იღვრება. ამ მოძრაობაში გლეხობამ ადგილ-ადგილ ისეთი სიმხეცე და სიბოროტე გამოიჩინა, რომ ამას მოძრაობის მოთავენი არ მოელოდნენ. გლეხები აღარაფერს არჩევდნენ: არც მტერსა და არც მეგობარს, არც ავსა და არც კარგს და ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ, ანადგურებდნენ. აი ერთი მაგალითიც, რომელიც მშვენივრად ახასიათებს რუს გლეხის სიველურეს. სარატოვის გუბ. ოთხმა სოფელმა ერთად გაძარცვეს და გადასწვეს ადგილობრივი მემამულეები. გლეხთა შორის ბევრი სექტანტ-ბაპტისტიც იყო. სანამ საერთო საქმე ჰქონდათ, სარწმუნოებრივი შუღლი დაივიწყეს, მაგრამ გაათავეს თუ არა მემამულეთა დარბევა, ბაპტისტებმა მართლ-მადიდებელთა ეკლესიის განადგურება მოინდომეს. შეიკრიბნენ ერთად, გატეხეს ეკლესია, იქ ყურობა აიკლეს და საკურთხეველიც შეურაცხჰყვეს. მერე მღვდლის სამოსელი ჩაიცვეს და ცეკვა დაიწყეს. ცოტა ხნის შემდეგ მღვდელი და დიაკვანიც მოიყვანეს, მღვდელს „ბუზიკაზე" დააკვრევინეს და დიაკვანი ათამაშეს. მერე ორივეს სახლები გადაუწვეს, ცოლ-შვილი გაუტიტვლეს და შეურაცხჰყვეს, პატარა ბავშვებს ნაკვერჩხლებზე არბენინებდნენ. ეკლესიის დაწვაც მოინდომეს, მაგრამ მეთაურმა ამის ნება არ მისცა და ხალხს დაუძახა. ეკლესიის ზარები დარეკეს, მალე აქეთ-იქიდან აუარებელი მართლმადიდებელი ხალხი შეიკრიბა და ბაპტისტებს მიესია. სცემდნენ ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ცოცხლებს მარგილებზე აგებდნენ, ნაწილ-ნაწილად ჰკუწავდნენ, შუაზე გლეჯავდნენ, ხელებსა და ფეხებს სწყვეტავდნენ, ცოცხლებს თვალებს სჩიჩქნიდნენ და სხ. მოჰკლეს 43, დასჭრეს და დაასახიჩრეს რამდენიმე ასი. ერთი დედაკაცი ნახევარ-მკვდარი იპოვეს და ჰკითხეს, იწამებ თუ არა მართლმადიდებელ ღმერთსაო. მომაკვდავმა უარი უთხრა; ხალხმა მომაკვდავი იქვე გაათავა. ბაპტისტები აქეთ-იქით დაიფანტნენ; მართლმადიდებელნი კვალ და-კვალ სდევნიდნენ და ხოცავდნენ. დახოცილები არავის აუკრებია, ღორები და ძაღლები სჭამდნენ შუა ქუჩაში. „ნაშა ჟიზნ"-ის კორესპონდენტი, რომელსაც ყველაფერი თავის თვალით უნახავს, სწერება, ეს მხოლოდ დასაწყისია, უმთავრესი კი შემდეგ იქნებაო.

◆ **ჯარი აჯანყდა.** სევასტოპოლში მატროსებმა აფიცრები დააპატიმრეს. მატროსებს ჯარიც მიემხრო. მოძრაობას წმინდა რევოლუციონური ხასიათი აქვს. როგორც ამბობენ, პეტერბურგში გენ. ლინევიჩისგან საიდუმლო დეპეშა მიუღიათ. ლინევიჩი იუწყება, ჯარი აჯანყებას აპირობსო.

◆ **ფედერალისტების კონგრესი.** ამ ახლო მომავალში მოსკოვში მოხდება სრულიად რუსეთის სოციალ-ფედერალისტთა კონგრესი, რომელსაც დაესწრებიან პოლონეთისა, მალოროსიისა, ბელოროსიისა, ლიტვისა, ქართველებისა, სომხებისა და სხვა განაპირა ქვეყნების ფედერატიულ პარტიების წარმომადგენელნი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

15 ნოემბერი.

მოსკოვი, 14. დითონის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. ძმათა კორტინგების ქარხანაში მუშებმა 5 საათი და 30 წამი იმუშავეს და მერე მუშაობაზე თავის ნებით ხელი აიღეს. დანილოვის მანუფაქტურამ 1300 მუშას ანგარიში გაუსწორა და დაითხოვა. გაიფიცნენ დოსუჟევისა, დიკინისა, მარკუსოვის ამხანაგობისა, სიუსი და სოკოლოვის ქარხნების მუშები. ბოსენკოვის ქარხნის ადმინისტრაციამ სამუშაო დროს ერთი საათი დააკლო და მუშებს ხელფასიც მოუმატა, რის გამოც მუშები საქმეს შეუდგნენ.

სტამბოლი, 14. მეტელენში მოსულმა საერთაშორისო ესკადრამ დაიჭირა ტამოჟნა და სატელეგრაფო სადგური.

ლონდონი. განიხილავს რა მოსკოვში მომხდარ საერობო მოღვაწეთა კრების მოქმედებას, გაზეთი „ტაიმსი" ამბობს: ამ მოღვაწეებმა დაამტკიცეს, რომ სახელმწიფოებრივი პრაქტიკული გამოცდილება არა ჰქონიათ და არც დღევანდელი დღის მნიშვნელობა ესმოდათ. საერობო მოღვაწეთ არ შეუძლიათ თანამედროვე დიდმნიშვნელოვან საკითხებს ანგარიში გაუწიონ. უმრავლესობა მდიდარი მემამულენი არიან, აღიარებენ ლიბერალურ-დემოკრატიულ რწმენას, ერთ გვარად ეშინიათ, როგორც რევოლუციისა, ისე რეაქციისა და საშუალო გზას ვერ უპოვნიათ. იმისდა მიუხედავად, რომ გლეხები მებატონეთ ერევიან, საერობო მოღვაწეები მაინც საყოველთაო კენჭის ყრის მომხრენი არიან.

მოსკოვი, 14. დღეს დაატუსაღეს თავმჯდომარე და წევრები გლეხთა კრების ბიუროსი, რიცხვით რვა კაცი, მათ შორის მწერალი ჩირიკოვი, ტან-ბოგორაზი და მაზუთის ფირმის ნოქარი კურნოსოვი, რომლებიც პირდაპირ აჯანყებას ქადაგობდნენ. ბიურო გასჩხრიკეს. საერობო კრების ბიურომ გადასწყვიტა, თავის კრებებზე გარეშეთ მისვლის ნება აღარ მისცეს. მოსკოვის მეგაზეთეთა მიტინგმა დაადგინა: მოსთხოვონ რედაქციებს ფას-დაკლებით აძლიონ გაზეთები, თორემ მოსკოვის გაზეთებს აღარ გავყიდითო. მზარეულ ქალთა მიტინგი კვირაობით დასვენებას თხოულობს.

ნიჟნი-ნოვგოროდი, გაიფიცნენ ტრამვაისა და საელექტრონო სადგურის მოსამსახურენი. გუბერნატორმა არ დაამტკიცა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც პოლიცია ქალაქის ზედამხედველობის ქვეშ უნდა გადასულიყო.

პეტერბურგი, 14. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ის ხმები, ვითომც პეტერბურგელ მეფაბრიკეებმა ქარხნებში 9 საათის სამუშაო დღე დააწესებინეთ, სიმართლეს მოკლებულია.—პეტერბურგის საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა და იქ მოსწავლეთა მშობლების მიტინგი საჭიროდ სცნობს: საშუალო სასწავლებელში ავტონომიური წესი დამყარდეს, დაარსდეს მოსწავლეთა კორპორაციები, ორგანიზაციები სასწავლებლის ცხოვრებაში მშობლებსაც მიეცეთ მონაწილეობის მიღების ნება.—ხმა დადის, რომ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი დურნოვო, ობერ-პოლიცმეისტერი ბარონი მედემი და პეტერბურგის გრადონაჩალნიკი დედიულინი სამსახურს თავს ანებებენო.

სარატოვი. სოფელ დუბოვოში გლეხთა მოძრაობა დაიწყო. ჯარი მოვიდა. მოძრაობის ხელმძღვანელნი დაატუსაღეს.

ოდესსა, 14. რუსეთ-დუნაის სანაოსნო საზოგადოების გემებისა და ნავების კომანდები გაიფიცნენ.

სამარა, 14. საგუბერნიო ციხის ტუსაღებმა ჩამტვრიეს კარ-ფანჯრები, დარაჯებს იარაღი აჰყარეს, წყლის საყვანი დაანგრიეს, ელექტრონი ჩააქრეს. გამოწვეულ იქმნა ჯარი. არიან დახოცილები და დაჭრილები. რამდენიმე ტუსაღი გაიქცა.

სევასტოპოლი, 14. ქალაქი შეძრწუნებულია. მატროსებს მიემხრნენ საპაროთა როტა და რეზერვთა ბატალიონი. გუშინ მატროსებმა გადააყენეს კრეისერ „ოჩაკოვის" კომანდა და აფიცრები, გარნიზონის უფროსობა გადაეცა კორპუსის კომანდირს მეძლერ ზაკომელსკის. ჯავშნოსანს „როსტისლავს" და „ტრი სვიატიტელია''-ზე საიწნარეა. არა სჩანს, რომ ქალაქი შეშფოთებით აღსაუგრძნობდეს. უფროსობის უარის მიუხედავად მატროსები სამსახურს წესიერად ასრულებენ, დადიან ქუჩა-ქუჩა წესიერების დასაცველად და იჭერენ იმ ამხანაგებს, რომელთაც ბილეთები არა აქვთ. დღეს, სახელმწიფო უქმის გამო, მატროსებმა ვლადიმირის ტაძრის წინ უაფიცროდ პარადი გამართეს. მოვიდნენ სიმფეროპოლიდან ლიტვის პოლკი და ერთი ნაწილი ბელოსტოკის პოლკისა—ფელდფებელის. რამდენადაც ცნობილია, მატროსთა ყველა მოთხოვნილებანი ეკონომიურის ხასიათისაა. ციხე-სიმაგრეში სამხედრო წესი გამოცხადდა. ამ განცხადებას ხელს აწერს კომენდანტი ნეპლიუევი.

ტფილისი, 14. ფოსტის ნავთ-სადგურში მოქალაქეთა დახმარებით მუშებმა იარაღით სავსე ნავი გადმოსცალეს. ეს შეამჩნიეს ყარაულებმა და გადმომცლელებს სროლა აუტეხეს. სროლა ორ საათს გაგრძელდა. დაიჭრა ერთი კაზაკი, შეიპყრეს 10 ადგილობრივი მცხოვრები, ორი ამათგანი მძიმედაა დაჭრილი. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს 54 ყუთი პატრონებით სავსე და 21 ყუთი სამხედრო-გარეთული თოფებით. თითო ყუთში ოც-ოცი თოფია.

პეტერბურგი, 15. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკი" იუწყება, რომ შლისელბურგის რაიონის მუშები იარაღდებიანთ. შეიარაღებულია 6000 კაცი. ესენი ჯგუფ-ჯგუფად—(თითო ჯგუფში ათ-ათი კაცი) დადიან ქუჩებში, ვითომდა მცხოვრებლების დასაცველად, ნამდვილად კი რევოლუციონერებს სდარაჯობენ, რომ არ დაატუსაღონ. 6 ნოემბერს, ნევის ქარხნის სასადილოს წინ, მილიციასა და ჯარს შეტაკება მოუხდათ. მოკლულ იქმნა ერთი მუშა, დაიჭრა 3. დაჭრილია ერთი კაზაკიც.

პეტერბურგი, 15. აზრადა აქვთ გენერალ-გუბერნატორები დაუქვემდებარონ მინისტრთა საბჭოს და ჩამოართვან უფლება შინაგან საქმეთა მინისტრისა და საბჭოს თავმჯდომარის გარეშე—ხელმწიფეს მოახსენონ რამე. აღძრულია საკითხი იმის შესახებაც, რომ გენერალ-გუბერნატორები მეტი პასუხის მგებელნი იყვნენ უკანონოდ მოქცევის დროს. აზრად აქვთ აგრეთვე, რომ ყველა იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესებია შემოღებული, ეს წესები ისევ დარჩეს, მხოლოდ სხვის საკუთრების მითვისებისათვის უფრო სასტიკი კანონი შემოიღონ.

სევასტოპოლი, 14. სევასტოპოლი ალყა-შემორტყმულ ქალაქად ითვლება. ჯარების უფროსის თანამდებობა გადასცეს ციხის უფროსს—ნეპლიუევს. ოდესიდან და სხვა ქალაქებიდან ჯარები მოდის. სალამოზე სევასტოპოლში ესკადრა უნდა წასულიყო, მაგრამ აღარ წავიდა. მაღაზიები და რესტორანები დაიკეტა, ფოსტა სიმფეროპოლიდან ცხენებით მოაქვს.

ვორონეჟი, 14. ფოსტა-ტელეგრაფის 175 მოხელეს კრება ჰქონდათ და დაადგინეს, შეუერთდნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირს. აირჩიეს დელეგატები მოსკოვის მომავალ კრებაზე გასაგზავნათ.

მოსკოვი, 14. ერობათა და ქალაქების მოღვაწეთა კრება დაიხურა.

დონის-როსტოვი, 14. კრივოროჟსკის ვოლოსტში გლეხები ანადგურებენ მემამულეებს. ერთი ეკონომია გადასწვეს, სხვაგან ტყეებსა სჩეხენ.

ნიჟნი ნოვგოროდი, 14. დაიწყო აგრარული მოძრაობა სერგაჩისა და ლუკოიანოვის მაზრებში. გაგზავნეს ჯარები.

ვლადივოსტოკი, 13. იაპონიიდან დაბრუნებულმა ტყვეებმა, კვანტუნის არტილერიის ჯარის კაცებმა, გუშინ აჯანყება მოახდინეს. ერთმა ჯარის კაცმა ხელი მახლო კაპიტან ნოვიცკის, რომელიც იძულებული იყო მოეკლა იგი. უცბად შეგროვდნენ პორტ-არტურელები, აფიცრების საკრებულოსკენ გამართნენ, სადაც ნოვიცკი დაიმალა და მოითხოვეს, რომ ნოვიცკი ხელში მიეცათ. სხვა აფიცრებმა დაუწყეს დარიგება ჯარის კაცებს. პირველ ორჯელ სცემა და რამდენიმე ადგას დასჭრა კაპიტანი პაკოვეცკი, რომელიც ურჩევდა, დამშვიდდნენო. ნოვიცკი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ იძულებული გახდა, თავი მოეკლა. ბრბო შევარდა საკრებულოში და უწესობა მოახდინა. მძიმედ დასჭრეს პორუჩიკი ლილეევი, რომელიც სალამოზე გარდაიცვალა. უწესობა გაგრძელდა, სანამ ორი როტა და არტილერია არ მოვიდა. აფიცრებს შორის დაჭრილია კიდევ შტაბს-კაპიტანი შელიარენკო და პორუჩიკები მატრიაკოვსკი და ქავორონკოვი. ყველას ჭრილობა თავში აქვს. ქალაქს პატრულები იცავენ. ქუჩებში მშვიდობიანობაა.

ოფლში არ გაიწურებიან და გული არ ამოვარდებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ უბედურებს რამდენიმე ტყვია გაუცდენიათ და „ჭკუას ასწავლიან", რომ მეორედ ნიშანში სწორედ მოარტყან!

აფიცრები ძალიან სცდილობენ, რომ თავიანთ როტებს სროლა კარგად შეასწავლონ, რადგან ამ გარემოებაზეა დამოკიდებული მათი მომავალი და ბედ იღბალი: თუ როტა კარგად ესვრის, მაშინ როტის უფროსი პოდპოლკოვნიკობას მიიღებს და წინაც წავა. თუ კარგად ვერ ისვრის, მაშინ უნდა იყვეს კაპიტნის „ჩინში", სანამ არ დაბერდება და სიბერის გამო იძულებული არ იქმნება სამსახურს თავი გაანებოს. ვიმეორებ, ძალიან სცდილობს აფიცერი, მაგრამ როგორ და რანაირად ასწავლოს, ეს მისთვის ძნელს საგანს შეადგენს, თავის მოკლე ჭკუით ის ჰფიქრობს, რომ სალდათი მხოლოდ მაშინ ესვრის კარგად, თუ ეშინიან აფიცრისა და დასჯისა. სასჯელითა და დასჯით კი თოფის სროლის სწავლებას ის შედეგი მოსდევს. რომ როტაში იშვიათად მოიპოვება ორი-სამი სალდათი, რომელიც 5 ტყვიიდან სამს მოარტყამს.

ერთგვარი თოფის სროლაა, რომელსაც უწოდებენ „залпами". მთელი როტა აფიცრის ერთი დაძახებით ერთად ესვრის მიზანს. აფიცერი როტის უკან სდგას და ხმა მაღლა გაიძახის: „пальба ротой", სალდათები მხარზე მიიდებენ თოფებს და დაუმიზნებენ ნიშანს. „рота"... აქ ამ სიტყვას მოსდევს სიტყვა: ,,пли'', რის შემდეგაც როტამ უნდა გაისროლოს, როგორც ერთმა კაცმა. თუ ვინმემ დაიგვიანა, ან თუ დაიჩქარა, ამგვარ „თავხედს" სასტიკი სასჯელი,—სასჯელს ვინ ჩივის,—საშინელი ცემა მოელის, ამიტომ ყოველი სალდათი იმას კი არ ჰფიქრობს, რომ იქ ნიშანში მოარტყას, იგი სცდილობს სიტყვა „пли" არ გამოეპაროს, და ამიტომ როტის უფროსი რომ დაიძახებს: ,,рота''... ყოველი სალდათი თვალს ჰხუჭავს, ნიშანს აღარ უყურებს და უცდის, უფროსი როდის დაიძახებს ,,пли'', რომ ამ სიტყვასთან ერთად თოფის ჩახმახი გამოსწიოს.—ხომ ვერ გაიგებს როტის უფროსი, ვინ მოარტყა და ვინ არა—ჰფიქრობს ყოველ ამ შემთხვევაში სალდათი.—თუ აგინებს, მთელ როტას უნდა აგინოს, თუ დასჯის, მთელი როტა უნდა დასაჯოს!

აი, ამიტომაც ჰყავთ რუსის აფიცრებს კარგი მსროლელი ჯარის-კაცები! ამიტომაც უკვირდათ რუსის გაზეთებს იაპონელ ჯარის-კაცის კარგი სროლა. იმიტომაც მოხდა, რომ რუსეთ-იაპონიის ომში რუსის სალდათი ათასობით ჰხარჯავდა პატრონებს და ერთსაც ვერ ჰკლავდა, იაპონელი ჯარის-კაცი კი ერთი ტყვიით რამდენსამე რუსსა ჰკლავდა და ასახიჩრებდა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ამ ომში რუსის მრავალი აფიცერი დაიხოცა, იაპონელებისა კი მეტად ცოტა. იაპონელი სალდათები აფიცრებს პირდაპირ ნიშანში იღებდნენ და ჩიტებივით ჰხოცდნენ, რუსის სალდათი კი თვალს ჰხუჭავდა და ისე ისროდა!

რა ჰქნას საბრალო ჯარის-კაცმა, მას გულიც შესწევს, ყოველ-გვარ გაჭირებასაც აიტანს, მაგრამ, რას იზამთ, რომ სძულს სამხედრო სამსახური და სძულს უფროსები, რომლებიც სამხედრო სამსახურს ჯოჯოხეთადა ჰქმნიან, ვერაფერს ვერ ასწავლიან და იმის მაგივრად, რომ სამხედრო სამსახურის სიყვარული გულში ჩაუნერგონ, სალდათს საქმეში მაინც პატარა ინიციატივა მისცენ, ისინი ჰკლავენ მასში პიროვნებას, ყოველგვარ ღირსებას და ყოველ ნაბიჯზე აგრძნობინებენ სალდათს, რომ ის ადამიანი კი არაა, არის სამხედრო ნივთი, როგორც მაგალითად ზარბაზანი, თოფი, შუბი და სხვა.

მაგრამ მასწავლებელმა თუ თვითონ არა იცის რა, მოწაფეს რას გადასცემს? თუ თვითონ ადამიანი არაა, სხვას როგორ იცნობს ადამიანად?! უნდა იცნობდეთ რუსის აფიცერს, მის მიერ მიღებულ სწავლა-განათლებას, მის აღზრდას, მის პრინციპებს, იდეალებს, მის ცხოვრებას, რომ ჯარზე ნათელი წარმოდგენა იქონიოთ და შეხვიდეთ ჯარის კაცის მდგომარეობაში. მაგრამ... ეს საკითხი შემდეგი წერილისთვის გადავდოთ.

სათადარიგო ჯარის-კაცი.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელ-საქმისა

გადავიდა

მამადავითის ქუჩაზე, გრიგორაშვილის სახლებში
ბაღის პირდაპირ, № 5.

ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(20—9)

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.